ბაგრატ ზადიდი
(ლაკაღელი)

# მესია

პოემა

„შემოქმედი“
2005

წიგნის გამოცემისათვის
მადლობა საქველმოქმედო საზოგადოება
„თბილისს".
ბატონ თეიმურაზ ჩარკვიანს,
ბატონ დოდო ყურაშვილს.

„კეთილი გულით მიძღვნილი. მცირედიც შეწირების"

83 J7-5
მ 324

მეოთხე გამოცემა

# ღრმა პოეტური შთაგონებით

პოეტმა ბაგრატ ლაკადელმა იესო ქრისტეს სადიდებლად ჭეშმარიტი რწმენით და პოეტური შთაგონებით განმსჭვალული პოემა შექმნა.

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი" („მესია") სახარების მოტივებზეა დაწერილი.

მხატვრული აზრის ყურადღება არასოდეს დაკლებია ტანჯულ მესიას. განა ოთხივე სახარება და სწორუპოვარი ფსალმუნები დიდებული მწერლების დაწერილი არ არის?

მკვეხელობად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ ღმერთთაგან არავის ღირსებია მუზათა ესოდენი ყურადღება. კაზმულ სიტყვას რომ თავი გავანებოთ. მიქელანჯელოს „პიეტა" და „სიქსტის კაპელა", ან

ლეონარდოს „საიდუმლო სერობა" რად ღირს.

საქართველოში — ღვთისმშობლის წილხვედრ და მაცხოვრის კვართით დაჯილდოებულ ქვეყანაში, დიდი ღმერთის სიყვარულით ვის გააკვირვებ. განა თითქმის მთელი ჩვენი კლასიკური ლიტერატურა ქრისტეს რწმენით განათებული და მის უებრო სიკეთეზე დაფუძნებულ-დადუღაბებული არ არის?

და მაინც, ქართულ მწერლობას „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი" აკლდა. მაცხოვრის მიერ განვლილ გზაზე, ნათლისღებიდან გოლგოთამდე, ლექსის ნამდვილი ოსტატის ხელით დაწერილი ლირიკული პოემაც უნდა აჟღერებულიყო.

და აჰა, ეს პოემაც შენს წინ დევს, ძვირფასო მკითხველო.

ნიშანდობლივია, რომ პოემა სწორედ ახლა, იესო ქრისტეს დაბადებიდან 2000 წლისთავზე დაიწერა და ძვირფას საჩუქრად ებოძა მკითხველს.

*ჩემთვის დიდად სასიამოვნოა, რომ მისი ავტორი — აქამდე რატომღაც მოკრძალებული სახელის მქონე* პოეტი მაგრატ ლაკადელი, ამ პოემით მწერლობაში ფრიად მნიშვნელოვან, ანგარიშგასაწევ, თვალსაჩინო განაცხადს აკეთებს.

*გზას ვულოცავ მკითხველის სიყვარულის მომლოდინე,* ქართული კულტურის, მართლაც რომ საგულისხმო შენაძენს.

*რევაზ მიშველაძე*

*პირველი გამოცემის წინასიტყვაობა*

*გაზეთი „ახალი ტალღა" № 54, 2000 წ.*

* * *

დიდებული წიგნია! ეს პოემა ზემოქმედებას ახდენს ნებისმიერი გემოვნების მკითხველ-მსმენელზე, გინდაც არაფერი გაეგებოდეს პოეზიისა. ასეთი რამ იშვიათია. როგორც ვხედავთ, რელიგიური თემატიკა თანამედროვე ქართულ პოეზიაში უკვე შემოშუქდა ბაგრატ ლაკადელის პოეზიით. ბოლო დროს გამოქვეყნდა ცალკეული ლექსები (მათი რიცხვი უმნიშვნელოა) რელიგიური სულისკვეთებით, მაგრამ ეს პოემა გამორჩეულია ორიგინალური პოეტიკითაც. აქაა აღსარებითი ღაღადისი, ლოცვა და ვედრება, მიმტკივნება თანაგრძნობით, უბრალოება, გონებრივი სიღრმე-სირთულე, ხალასი სიხალისე, აქაა მრავალი სატკივარი, მლოცველთა ვედრება, საერთო საყოველთაო ზარის გუგუნი ყურადღების გადატანა ყოველთვის ზეცისკენ და ყოველივე პოეტურად ამაღლებული და გამჭვირვალე. ეს წიგნი გადალახავს მიწიერი ვნებისა და მისი მამოძრავებელი ძალაა რელიგიური სულისკვეთება, პოეტის ფანტაზია აქ გამოხატავს მისტიკოსი ადამიანის განცდებს და ეს განცდები გაჯერებულია ზეარსისადმი უსაზღვრო სიყვარულით და რწმენით. აქ მხატვრული სიტყვა ემოციური, ესთეტიკური ზემოქმედებითაა დამუხტული. აქ არაფერია შემთხვევითი, ზედმეტი და უადგილო. აქ არაფერია ყალბად პათეტიკური. აქ ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი, ყოველი მონაკვეთი და პასაჟი – პოეზიით სუნთქავს. ეს წიგნი კეთილი წიგნია თავისი სულისკვეთებით. და ჭეშმარიტი პოეზიის საკუთრებაა. - მხატვრული დონის თვალსაზრისით.

გაზ. „აფხაზეთის ხმა"
№9. 2000 წ.

* * *

ბაგრატ ლაკადელმა ჩვენს დუხჭირ დროში შეძლო შეექმნა საკუთარი პოეტური სამყარო; დისჰარმონიის ნასახს ვერ იპოვით მის შემოქმედებაში. საოცრად აქვს პოეტს გამახვილებული რიტმის გრძნობა. რითმა, რომელიც ლექსის კომპონენტადაა მიჩნეული, შეუცვლელია. სხვა სარითმი სიტყვას არ ითავსებს, რადგან იგი განუყოფელი ნაწილია მთლიანი სიტყვიერი ქსოვილისა. მრავალი მათგანი უზადო ბრილიანტივით, ანუ პარანგონივით ასხივებს.

პოეზია უსაგნოდ არ არსებობს. მადლს მოკლებული ლექსი ვერ იქნება „სულის განმგმირავი“: ყოველ პოეტს თავისი პოეტიკა წარმოაჩენს, როგორიცაა ისეთად. მხოლოდ ჭეშმარიტად ნამდვილ პოეტებს აწუხებთ ლირიკული პოეზიის პრობლემები.

და მაინც: როგორი თვალით შეხედავს დღევანდელ პოეზიას მომავალი? რას გამოარჩევს XX საუკუნიდან XXI საუკუნეში? მთავარია კარგი პოეტი იყოს და ასეთად დარჩეს ულმობელი დროის წინაშე. „დიდი პოეტები“ და მათზე არანაკლებ საინტერესო უჩინო პოეტები ქმნიან უზარმაზარ სულიერ სამყაროს — იდუმალებით მოცულ სამყაროს — პოეზიას. არიან პოეტები ციდან რომ ეშვებიან და ინარჩუნებენ სიმაღლეს, და არიან პოეტები რჩეულთათვის. და თუ ლირიკა მწვერვალია პოეზიისა, მას მხოლოდ ნამდვილი ლირიკოსები ეუფლებიან.

გაზ. „აფხაზეთის ხმა“
№9. 2000 წ.



ბაგრატ ლავადელის „მესია" – ბოლოდროინ-დელი ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანესი შენაძენია.

ლევან ბერძენიშვილი

ვუძღვნი
ჩემს ძმას
ნიკა [illegible]
ავტორი

# ნაწილი პირველი

უფლის ძეო, ჩვენო დიდო მესია,
ეს ქვეყანა შენი მოსამწყემსია

*„მე ნათელი ვარ სოფლისა. ვინც გამომყვება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას“.*
*„მე ვარ მწყემსი კეთილი, მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათვის“.*
*„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“.*

*სახარება იოანესი*

## ლ ო ც ვ ა

უფლის ძეო, ჩვენო დიდო მესია,
ეს ქვეყანა შენი მოსამწყემსია.

ამარიდე გულმოროცს და ჯავრიანს,
ჩემი რწმენა  შენი წმინდა ჯვარია.

„კრავი ღვთისა“, შენს წინაშე უმრალო,
შეიფარე ჩვენო დიდო უფალო.

უფლის ძეო, ჩვენო დიდო მესია
ეს ქვეყანა შენი მოსამწყემსია.

# წ ი ნ ა თ ქ მ ა

* * *

ილოცეთ! . . უფლის ანგელოზმა კამარა შეკრა,
ნათლის სვეტივით თავს დაადგა – დიდებულ ბეთლემს...
უფალო, ცოდვილ დედამიწას – მოუვლენ შენს კრავს,
ახლა კი ამის წარმოდგენას ვერავინ შეძლებს...
ადამიანო! – ხუნდი ადევს შენს კისერს, შენს ძვლებს...
მიწა – ცოდვებში იძირება!... ეშმაკი – მედგრად -
უტევს – ღვთის სამწყსოს, კაცთა შორის ვინ შეევედრა -
უფალს, - ეზრუნა კაცთა მოდგმის უბედურ ბედზე?!.
ციდან დაეშვა ანგელოზი! – სიკეთის მაცნედ!
გამოიღვიძეთ! – ეშმაკს, ბოროტს, ნუ მიეტმასნეთ!
უწყოდეთ: ბეთლემს იბადება – ჩვენი მ ე ს ი ა...
მძიმეა ტვირთი კაცებრივი, უმძიმესია,
მაგრამ ის მოდის, მოდის – ციდან, გზებით უვალით,
უწყოდეთ: ბეთლემს იბადება - ღმერთი, უფალი...

* * *

ჟამსა ჰეროდე მეფისასა, მას ერთსა წელსა,
ცაში ვარსკვლავი აბრიალდა, განცვიფრდნენ მოგვნი,
აღმოხდათ ერთხმად, მუხლმოდრეკილთ, ლოცვებით მოღლილთ:
„მოგვხედე ღმერთო მწყალობელო, შენს ნათელს ვესავთ... “
მოგვნი ეტლს ცისას გაჰყურებდნენ (ეს ჰქონდათ წესად),
ჰა, ყოველ მათგანს ცის ეტრატი სიხარულს მოჰგვრის:
ამცნობს უფალი დაბადებას მოკეთის, მოყვრის...
დიდება ღმერთო მძლეთა მძლეო, ძალასა შენსა...
ოფლი სდიოდათ საფეთქლებზე, უხურდათ შუბლი...
თქვა უხუცესმან: „ჰურიასტანს ძე იშვა უფლის..
ძე იშვა უფლის, რათა კაცთა ცოდვები ზიდოს...”
„შეცოდებანი მოგვიტევენ მსაჯულო დიდო...”
იძახდნენ მოგვნი: „ემანოელ!“: „ჩვენთან არს ღმერთი...”
ცის თაღს – მზესავით ანათებდა ვარსკვლავი ერთი...
ცის თაღს – მზესავით ანათებდა ვარსკვლავი ერთი...
იდუმალების ამოცნობა ეწადათ მოგვებს...
ჰვედრიდნენ უფალს: „მოწყალეო, მშვიდობა მოგვეც”.
მიაჩერებოდნენ ბრძნეთა-ბრძენნი იდუმალ წერტილს...
ეჰ, იქნებ წალმა შეტრიალდეს აწ კაცის ბედი...
იქნებ იცოცხლოს კაცმა მშვიდად, და ისე მოკვდეს,
რომ არ დაურჩეს სანანებლად სიცოცხლე – მოკლე,
ცხონდეს იმქვეყნად (საწყალ მოკვდავს, რა უნდა მეტი).
წვალობს მოკვდავი, და საშველი არა აქვს საწყალს...
სისხლსა სწოვს მისას, ბელზებელი, და ვეღარ გაძღა...
ხოლო მოკვდავი, ისევ ციდან მოელის შველას...
ისე ბრდღვიალებს ღვთის საუფლო, ცა ისე ელავს,
რომ უსათუოდ დიდ სასწაულს აუწყებს მოკვდავთ...
უფალო დიდო, შეისმინე ლოცვები მოგვთა...
უფალო დიდო, შეისმინე ლოცვები მოგვთა...
შენ განანთლე დედამიწა უხრწნელი შუქით...
გვიხსენ უფალო, მოწყალეო, ო, რა ვქნათ, თუ კი
სატანისადმი მორჩილება ოდითგან მოგვდგამს...
ის სასწაულთა სასწაული, რაც ბეთლემს მოხდა,
უმალ მოედო ჰურიასტანს. ნაღარით, ბუკით,
დაჰქრიან მეფის ცხენოსანნი, (უმეცართ, უკვირთ
რომ მოდის რისხვა სასახლეთა, იმედი ქოხთა...).

ჰა, ყრმაი იგი, ძე უფლისა, დღეს ბეთლემს იშვა...
ჰოი, ქალწული მარიამი შეიპყრო შიშმა:
სურს მოკვდინება იმა ყრმისა, მეფე ჰეროდეს...
ნუ სტირ, დედაო, ღაწვთ ცრემლებით ნულარ იოსებ,
ჰე, ნურას სწუხარ, ღვთის რჩეულო, დიდო იოსებ...
თქვენს ჩვილს უფალი გადაარჩენს, გწამდეთ, გჯეროდეთ...

* * *

დედის მკერდზე მიგიდვია თავი
სანატრელო ყრმაო უფლის ძეო...
მოხველ რათა ეშმა ცრუ და ავი,
სამუდამოდ ჩვენგან განაძევო...
დედამ გითხრა: „აკვანს დაგირწევო...“
შენ კი ამბობ: „ჩემი სალოცავი, —
დედამიწა თუ არ დავიცავი,
რისთვის გავჩნდი, რისთვის მოვედ მე?—“
უფლის ძეო, სანატრელო ყრმაო...
შენმა მოსვლამ დაე ააყვავოს
ეს ქვეყანა სივერაგით სავსე...
დააყენე კაცი — მართალ გზაზე...
შენ მოჰმადლე შუქი კაცთა სულებს,
მამა-უფლის ნება აასრულე...

# ქება პირველი

ჰა, საოცრება: ანგელოზი დაეშვა ციდან...
დადგა მიწაზე. ფრინველივით დაკეცა ფრთები...
ბრიყვო მწყემსებო, თქვე საწყლებო, ნუკი შეკრთებით!
ანგელოზია... დღეს თქვენს ცაზე: მზე გამობრწყინდა...
ცა – საკვირველად აკაშკაშდა, გაბრწყინდნენ მთები...
„მე ვარო მიქელ – გაბრიელი", - თქვა უცხომ მშვიდად...
მერე დასძინა: „საიდუმლო გაუწყოთ მინდა:
„ვარ მოვლენილი თქვენს წინაშე – თვით უფლის ნებით".
„დღეს ღვთისგან – ყრმაი შეეძინა ქალწულ მარიამს...
წადით, მონახეთ მწყემსის ბაგა,ბეთლემს არიან...
იესო ქრისტე დაიბადა – მაცხოვრად თქვენდა!.."
მთვარე მდუმარე დედამიწას – ღვთიურ შუქს ჰფენდა...
ღმერთს უგალობდნენ ანგელოზნი... გალობა მათი –
დიდხანს ისმოდა. მიწას ადგა – ღვთიური მადლი...
მწყემსებმა თავი მიანებეს საქონლის მწყემსვას,
ბეთლემში ჩასვლა გადაწყვიტეს, დაიძრნენ მყისვე...
„დიდება ღმერთო მწყალობელო, სახელსა შენსა..."
აღმოხდათ მწყემსებს, და ცის თაღი გაბრწყინდა ისევ.
მოადგნენ ბაგას – „ღმერთმა თქვენს ყრმას მშვიდობა მისცეს,
ვერ გაიხაროს აწ ეშმაკის – ძირმა და ფესვმა..."
თქვეს მოსულებმა. დედას ჩვილი კალთაში ესვა...
ჰგავდა ანგელოზს – ძე უფლისა, იესო ქრისტე...
„ღმერთმა გვაუწყა ეს ამბავი, ვმწყემსავდით ნახირს,
ვიხილეთ: მიქელ-გაბრიელი... ჩვენ მისი ნახვით –

განვცვიფრდით, მან კი, ასე გვითხრა: „წადითო ბეთლემს...”
„ნეტარიო დედავ, იქ, კალთაში, რომ გიზის ჩვილი,
ვიცით ვინც არის, აწ ვილოცოთ ამა ყრმის ბედზე,
ვენუკვით ზეცას, ამსოფლიურს – არაფერს ვჩივით...”

* * *

მეფემ მოგვები დაიბარა: ვარსკვლავთა მრიცხველთ –
უთხრა ცბიერმა: „ვარ ნაწყენი თქვენი ღალატით”. . .
და, საყვედური უნდა გითხრათ, ნუკიდა მიწყენთ:
თუ ბეთლემს მართლა ღმერთი იშვა, მე მიმალავდით? ...
წადით, მოძებნეთ ის პატარა, დრო გაქვთ – ხვალამდის...
მსურს ვცე თაყვანი ძეს უფლისას, ყველაფერს მივცემ
რაც გამაჩნია... ჩემი ნება – მტკიცეა, მტკიცე,
რაც მევალება, არ მსურს გამყვეს ცაში – ვალად ის...”
მიჰყვნენ მოგვები მბრწყინავ ვარსკვლავს. ბეთლემის ცაზე
შედგა ვარსკვლავი... და ჰა: მოგვებს სიამით ავსებთ
ხილვა და ჭვრეტა უფლის ძისა. მიართვეს ძღვენი.
... აქ ანგელოზმა გააფრთხილა სიზმრად მოგვები:
„მის ყრმისა მიმართ ჰეროდესგან საფრთხე მოგველის...”
სხვა გზით დაბრუნდნენ სამშობლოში, ღვთის კაცნი ბრძენნი.

* * *

კაცობრიობის შემწედ და მხსნელად
წმინდა მიწაზე – უფალი იშვა...
მოგვებს – ვარსკვლავი აძლევდა ნიშანს,
სხივებს აფრქვევდა მშვიდად და ნელა.
ბედკრულო ხალხო, აწ არა გიშავთ,
თუმც თქვენს გულებში ჯერ კიდევ ბნელა –
დე, ცის ქვეშეთში ხარობდეს ყველა...
დაცხრი – უდაბნოს ხვატო და ქვიშავ...
ხორცი შეისხა ღვთიურმა სიტყვამ...
„იყავნ ნათელი", - უფლისგან ითქვა,
აკურთხენ ღმერთო, ნათელი ესე...
უკვე იციან ბრძენმა მოგვებმა
რაც ამ სასწაულს მალე მოჰყვება...
მოელის ხალხი – სინათლის მთესველს...
დააკაკუნეს ბრძენმა მოგვებმა...
და იოსებმა – გაუღო კარი...
თქვეს: „ახლა ფრთები – რომ გამოგვებას,
არ გაიკვირვებთ, რას მოვესწარით...
მოვიჩქაროდით, მაგრამ როდესაც
ჰეროდემ რისხვის ჩამოჰკრა ზარი,
ვემალებოდით თუმც ჰეროდესაც,
გვსურდა გვეხილა ყრმა - საოცარი...
და თაყვანი სცეს საკვირველ პირმშოს...
უთხრეს მარიამს: „ნურაფერს შიშობ,
ჩვენა ვართ უფლის მოციქულები...

როცა იჯერეს ლოცვით გულები,
წამოდგნენ ფეხზე, და თქვეს: „საბაოთ,
იკურთხე ღმერთო დაუსაბამოვ...”

* * *

*დედამ ჩვილი ყრმა ნაზ აკვანში შვიდ დღეს არწია,*
*ბოლოს, მერვე დღეს, წარუდგინა წმინდა რაბინებს...*
*ეს ანგელოზის რჩევით მოხდა, და იქ პაწიას*
*წინადაცვეთა ჩაუტარეს, სისხლი ადინეს...*
*სიცოცხლე მისი, ღვთაებრივი, ღმერთო ადიდე...*
*კაცთა ცხოვრებას – აზრი, ფასი, მადლი, აწი აქვს...*
*ეყოფა მოკვდავს რაც მას ეშმამ დღე დააწია,*
*ცხოვრება კაცთა, დე არ ჰგავდეს დუხჭირს, ადრინდელს.*
*ეს ყრმა სულ მალე გაიზრდება... და ეშმა მახეს*
*ველარ დაგიგებთ. ცრუ-კაცებმა რაც მოგიჩმახეს –*
*არ დაიჯეროთ, განერიდეთ ცრუ ფარისევლებს...*
*თუმცა ეშმაკი კანში ძვრება, და ვერ ისვენებს,*
*გქონდეთ იმედი მაცხოვრისა, გქონდეთ აწ მეტად,*
*აკურთხენ ღმერთო, ძისა შენის წინადაცვეთა...*

---

ამ დღეს ეკლესია ყოველწლიურად აღნიშნავს.
მართმადიდებლური კალენდრით 14. იანვარს

* * *

მთვარე – მზრუნველად დაჰნათის ბაგას...
დიდ საიდუმლოს ინახავს მღვიმე...
მთვარე – ვერცხლისფერ სხივებით ქარგავს
მწყემსის საცხოვრისს – ღვთისმშობლის იმედს...
მუხის კარს ადევს ურდული მძიმე...
გარეთ ქარია, დედა კი აკვანს
დაურწევს პირმშოს, და ეტყვის: „აქ ვარ..."
ჩაიკრავს გულში, და გაუღიმებს...
მისჩერებიან პაწიას – ცხვრები . . .
გაკვირვებულნი ამ საოცრებით . . .
ღვთის თვალი ადგას, აქ – მწყემსის ბაგას.
ყრმას ჩვეულებრივს, არაფრით არ ჰგავს
ის, ვინც აკვნიდან ამოჰყავს დედას...
იკურთხოს – უფლის გამოცხადება.

* * *

ვას არ აშორებს ფიქრიან თვალებს,
ბავშვს – საქციელი არა აქვს ბავშვის...
დადის მარტოკა მთასა და ბარში...
გაასწრებს ზრდაში, სულყველას, მალე...
ჩაფიქრებული, წიგნს დაჰკანკალებს...
კითხვებზე – პასუხს დაეძებს - ცაში...
დაწერს რაღაცას, თავადვე წაშლის,
ჰე, არ მოითხოვს ბავშვივით – ალერსს.
ბავშვს – ეცოდება ღარიბი კაცი...
ნახავს მათხოვარს, - პურს და წყალს აწვდის,
ეტყვის: „დამშვიდდი, მაცალე გაზრდა...”
ჰე, ვინ მიხვდება, მას რა აქვს აზრად? ...
იცის: ეს მიწა მას ერგო სამწყსოდ...
გადააჭარბებს ის ღონით - სამსონს...

* * *

*მეგობართა გულწრფელ ამბორს*
*შეიწყნარებს ყრმა იესო...*
*გულმენცარი ხალხი ამბობს:*
*„ჩვენ გვაცხოვნებს აი, ესო..."*
*შენი შუქი ადგას თაბორს...*
*შენ ღაღადებ, უწმინდესო:*
*„თქვენ სიკეთე უნდა თესოთ,*
*ცისკენ – გზები გაიკაფოთ..."*
*მიწას ადგას შენი შუქი...*
*ხარობს ხალხი, ბრიყვებს უკვირთ;*
*მალე სულმთლად განათდება...*
*ცოდვილთ ყლით ანათემა...*
*გსურს ღვთის საქმე მოასრულო,*
*ჰე, „ღვთის სიტყვავ", - მოარულო...*

* * *

*ცხონება იმას, ვინც უფალს ენდო!*
*ცოცხალი სიტყვა – დგას მრევლსა შუა,*
*იძახის მრევლი: „ო, ი ე შ უ ა ...*
*ძეო უფლისავ, უფალო ღმერთო...*
*მუხლმოდრეკილნი, გევედრებით, შეგთხოვთ:*
*ჩვენს შორის ვინმე ცოდვილი თუა,*
*ზიარებისთვის ნუ ეტყვი უარს...*
*მხსნელო, მაცხოვარ, მზევ ერთადერთო..."*
*„ვერ დაგვძლევს ეშმა, სულს ვერ ამოგვხდის,*
*შენ გაგვინათე გზები სამოთხის,*
*ღმერთო, მოხედე ცოდვილთა სულებს..."*
*„შენს დიად მცნებებს ჩვენ აღვასრულებთ..."*
*ხარობენ წრფელნი. ბნელთა მძლეველი –*
*მოდის იესო ნაზარეველი...*

# ქება მეორე

*„მათ დღეთა შინა მოვიდა იოანე-ნათლისმცემელი ქადაგებად უდაბნოსა ჰურიასტანისასა და იტყოდა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა".*

მათ. 3,1-4

*„და აჰა განეხვნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაი გარდმომავალი ვითარცა ტრედი..."*

მათ. 3,16

უცხო ვინმეა, ჰო, აქაურს იგი არა ჰგავს...
კაცი უდაბნოს შეხიზვნია, პირქუშ უდაბნოს!
გამოქცევია წუთისოფელს, და სამუდამოდ
თავი უფლისთვის შეუწირავს...წმინდა ზვარაკად...
ჰოი, სოფლისა საშვებელნი იქნებ არ აკლდა? ...
მაგრამ ის კაცი უფალს ესავს...ამ კაცს უნდა რომ
ყველას განეხვნეს ზეცის კარნი... ხვავს და ბარაქას
შენგან ვიღებდეთ სულთა ჩვენთა ნავსაყუდარო...
იოანეა კაცი იგი, ნათლისმცემელი...
ცრუ წუთისოფლის ტუსაღებო, რად იცრემლებით?
სასუფეველი ზეციური, ახლო არს, ახლო...
ამ ხევ-ხუვებში საკვირეელი წმინდანი სახლობს...
ისმენს უფალი – უდაბნოში კაცის ღაღადისს...
მიჰბაძეთ იმ კაცს, ცრუ-საწუთროს ნუ კი დაჰხარბდით...

... შორიდან იცნო იოანემ იესო ქრისტე...
თუმცა მანამდე არ ენახა დიდი მოძღვარი...
იყო სურათი შთამბეჭდავი, გასაოცარი,
მადლი შენს სახელს, დაილოცოს უფალო ის დღე...
„იორდანეში ხალხს ნათლავსო, მე შენზე მითხრეს...
მოსვლის მიზეზი გაგიმხილო უკვე დროც არის...
მეც შენგან უნდა მოვინათლო, შენგან, რომ ცვარი
ამ წმინდა წყლისა, მადლად მექცეს...რა გითხრა კიდევ?.."
უთხრა იესომ იოანეს. „ხედავ რომ ვხარობ...
მე – შენგან 'უნდა მოვინათლო, ჩემო მოძღვარო..."
თქვა იოანემ, მაგრამ ქრისტე – სიტყვაზე იდგა...
...ნათლისღებული ამოვიდა იესო წყლიდან...
განიხვნენ ცანი, ცას მიეცა – სინათლე მეტი...
ცაზე გამოჩნდა უფლის სული, ვით თეთრი მტრედი...

## ქება მესამე

* * *

ჰეროდემ ღვიძლ ძმას წაართვა ცოლი
და მიაფურთხა ადათს და წესებს...
კაცი არ ფიქრობს განკითხვის დღეზე,
ძმას შეუბილწა წმინდა საწოლი...
უწმინდურ მეფეს – რისხვით და ძრწოლვით
გმობს იოანე: „გინებით ბეცებს –
დასჯის უფალი – მსაჯული ყოვლის,
მეფე ამგვარად არ უნდა შეცდეს!.."
... დაატუსაღეს უფლის ნათლია...
დილეგი ერგო – კაცს სამართლიანს,
გვერდით მიუსვეს ბინძურ ტუსაღებს.
წმინდანს - შავს თეთრად ვერ გაუსაღებთ...
თუნდაც ჯვარს აცვით, თუნდაც მოწამლეთ,
ვერ შეაშინებთ წმინდა მოწამეს...

* * *

ცეკვავს სალომე, ჰეროდეას ტურფა ასული,
მეფე ჰეროდეს ხელისგულებს მოსწყდება ტაში...
თითქოს ეშმაკი ჩაუჯდაო გოგონას ტანში,
ისე ირწევა, და ირხევა – მძივად ასხმული...
როგორ უხდება ნაზ გოგონას – ცეკვა - თამაში!

ახალგაზრდული შემართება – წრესგადასული...
(აქ ახლა „კვანძი" გაიხსნება, „კვანძი", და მაშინ –
თავად მიხვდებით, რომ ნაზ გოგოს – ბნელი აქვს სული...)
. . . დასრულდა ცეკვა. „რა მოგართვა კეკლუცო ჯილდოდ?.."
ჰკითხა ჰეროდემ სალომეას (ღმერთო დიადო...
ჯილდოს შერჩევა სალომეამ დედას მიანდო...)
ჰეროდე პასუხს ელოდება. „ხელმწიფევ დიდო"-
თქვა სალომეამ, (კატასავით, კრუსუნებს, კნავის):
„საჩუქრად მინდა იოანეს მოჭრილი თავი..."

* * *

წმინდანის თავი მიართვეს სინით
ნაზ სალომეას, ბუნებით ხენეშს
(ის კი – დილეგშიც არ დააყენეს...),
ერთად წარწყმიდოს ღმერთმა - ისინი...
იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის...
ღმერთი დასწყევლის გესლიან ენებს!..
ღმერთი დასწყევლის, და შეაჩვენებს...
დასწყევლოს ღმერთმა მათი სისინი...
ამბობდა: „ვიცი, რა დღეც მე მელის..."
და იოანე ნათლისმცემელი
მტრებშიც ეძებდა: მოყვასს, მოკეთეს...
ნუთუ წმინდა კაცს თავს წააცლიან?..
მაცხოვრის ჩვენის ძეირფას ნათლიას
სხვის გასართობად – თავი მოკვეთეს...

* * *

*მოდის ლაშქარი, დაკონკილი, და ფეხშიშველა–*
*ჩაგრულ ხალხს შენი იმედი აქვს, ჰოი, მაცხოვარ!–*
*იძახის მრევლი განბანილი: „ღმერთო, აწ, ხომ ვართ*
*სამოთხის ღირსნი– ჰე, მარჯვენამ შენმა გვიშველა–“*
*ვერ იბოგინებს აქ სატანა თქვენს გამთიშველად–*
*ოღონდ გულწრფელად შეასრულეთ, ღმერთმა რაც გთხოვათ,*
*იყავით მშვიდნი, ღვთის მოშიშნი (ამ დღის სახსოვრად*
*წმინდა მდინარეს გაატანეთ ცოდვები ყველამ).*
*თესლი კეთილი, მზეს შეხარის, ნათელი დღეა,*
*გაბრწყინებულა ღვთიურ შუქით, დღეს, იუდეა–*
*სამწყსო უფლისა, შუქულეველ სინათლეს იტევს–*
*გლახაკთ, უპოვართ, მიუსაფართ, მარტოკა შთენილთ,*
*იორდანესკენ მიუძღვება იესო ქრისტე.*
*უფალო ჩვენო, წმინდა იყავნ სახელი შენი–*
*უფალო ჩვენო, წმინდა იყავნ სახელი შენი–*
*ჩვენი ვაების, ჩვენი ტანჯვის შენა ხარ მოწმე,*
*დაცემულს ფეხზე დააყენებ, და ცრემლებს მოწმენდ,*
*შენ აღამაღლებ სიმართლისთვის – წამებულთ, დევნილთ–*
*ო, განანათლე ბნელში მყოფნი, სინათლის ფენით–*
*შენს ნათელ გზისკენ მოაქციე წარმართნი, რომ ძველ*
*გზას არ დაადგნენ, და არ უმტრონ მათსავე მოძმეთ–*
*უფალო, სულნი უმეცართა, შენ დაიხსენი–*
*მძიმე არს ტვირთი კაცებრივი, და გზაი იწრო–*
*ოფლად ეღვრება წყეულ მიწას, და ცხრა კანს იძრობს*
*მოყვასი შენი (თმენის ნიჭი მოჰმადლე მოყვასს–)*
*დღეს აღასრულებ ღვთიურ ნებას, ხვალ ისევ მოხვალ.*
*მზე ჩაესვენა ბეთლემს იქით, ცას წითლად ღებავს–*
*მადლი ჰფენია, მაცხოვარო, შენს ნათლისღებას–*
*მადლი ჰფენია, მაცხოვარო, შენს ნათლისღებას–*
*მრევლს ნათლავ წმინდა მდინარეში. სასწაულთ ავლენ–*
*(შემდგომ, მრავალნი, შენთან ერთად, ზეცაში ავლენ–)*
*დღეს ცათა წიაღ, მრავალთათვის – კარი იღება–*
*–ანდრია, თომა, იაკობი, პეტრე და პავლე–*

*და სხვანი, შენთა მიმდევართა წყება და წყება*
*მრევლს წმინდა წყალში მონათლავენ, როგორც ასწავლე,*
*სიცოცხლე კაცთა: ღვთისნიერი, ახლა იწყება...*
*წმინდა ემბაზში განბანილი თვლემს იუდეა–*
*ჰოი, მაცხოვარ, ღვთიურ ნებით მრავალს მონათლავ–*
*განბრწყინდებიან დღეს აქ სულნი ეშმას მონათა–*
*წუხს განბრძნობილი: „ცისქვეშეთი ცოდვის ბუდეა–“*
*უფალო სულთა სამოთხეო. ჩვენც იქ გვიგულე*
*სადაც ემბაზი უჩუხჩუხებთ შენს მოციქულებს–*

# ქება მეოთხე

* * *

იერიქონის უდაბნოში განვიდა მარხვად
უფალი იგი, ძე უფლისა, მუნ ჰპოვა ქვაბი...
ნუთუ ძეს შენსას, დარდის გუდა შენ გამოაბი?
უფალო განა ძისა შენის მეოხი არ ხარ?
მალე ეშმაკი აყმუვლდება, დაიწყებს ხარხარს...
ვერ შეუბორკავს ძესა შენსა ეშმაკი ნაბიჯს,
აქ მის ცდუნებას შეეცდება ეშმაკი ხარბი...
სულწარწყმედილი!.. განა სული, ეშმაკის არ ყარს?..
ო, სხვა უდაბნო რაღას მოვა იერიქონთან?..
არსად საკვები... თუმც ისეთი იერი ჰქონდა
ძეს შენსას, თითქოს: აქ წვეოდეს – ედემის წალკოტს...
სიცხემ, შიმშილმა, მარტოობამ, ვერა დააკლო
სულს მისას. ღმერთო! – ღვთის შვილია, გაძლებს
უწყლოდაც...
ვისი ძეც იყო, ძემან შენმან კარგად უწყოდა.
თუმცა სავსეა ეს უდაბნო მშიერ მხეცებით...
არ იპოვება უდაბნოში რამე საკვები...
შენ სამწყსოს შენსას მაცხოვნებლად არ მოაკლდები,
აქ არ მოკვდები, ხმელ ხესავით არ დაეცემი...
კვლავ იმას ეძებ, უფლის ძეო, რასაც ეძებდი:
გზას – სულთა ხსნისას...არ მოგელის ტანჯვა ნაკლები –

იქ, კაცთა შორის, სად მოყვასნი, შენნი, საწყლები –
უკუნში ვლენან როგორც ბრმანი: ხელის ცეცებით...
შენ აქ გიცავენ წმინდა სულნი: ანგელოსები...
ო, უფლის ძეო, მამის წიაღს შენ არ მოწყდები,
შენ შეავედრებ სამწყსოს შენსას, უფალს, მამა-ღმერთს...
„უფალო, რწმენა ძალას მმატებს, რწმენა მამაღლებს...”
დიდი ღმერთია შენი მცველი, შენი დარაჯი...
(მსაჯულო დიდო, ორგულთ რისხავ, ერთგულთ არა სჯი...).

* * *

ცა – ჩამობნელდა, ავარდა ბული...
გამოეცხადა მაცხოვარს ეშმა...
და გაიელვა იმისმა ეშვმა
ვისაც ცდუნება დიდ რამედ ულირს.
სხვა რა საქმე აქვს უწმინდურს, ულირსს?
ეშმამ მაცდურად დაიწყო ხვნეშა,
ნეტავი რაღამ გააუხეშა
ავი მჭედელი – სალტის და ულლის?
დგას მაცხოვარი – ცასავით წმინდა,
და  დგას ეშმაკი – ბნელი ვით მღვიმე
(ღმერთი დაპყურებს ამ სურათს ციდან...).
დგას უწმინდური, და დგას წმინდანი.
მათ არ აცილებს მზერას ციდან ის –
ვინც გვასულდგმულებს, და გვაძლევს იმედს.

* * *

მალე ორმოცი დღე გავიდა, და მეორმოცე
დღეს, დაეუფლა ძეს უფლისას შიმშილის გრძნობა...
ფიქრობს ეშმაკი: „ბევრი ფიქრით აქ მე რომ მოვცდე,
რა ხეირს ვნახავ? ღმერთი ჭირში გამოიცნობა..."
ნუთუ ეყოფა სულწარწყმედილს, ძალა, მისნობა?..
ეტყვის მაცხოვარს: „დავალებას, უფალო, მოგცემ:
რად არ შეხედავ ქვების გროვას როგორც ღვთის ნობათს?
ხომ ძალუძთ მათი პურად ქცევა შენს ღვთიურ ლოცვებს?..
ეხედავ. გალონებს ამ მიდამოს უდაბურება...
შენ ახლა გშია, ქვებით არის უდაბნო სავსე...
და თუ ღმერთი ხარ, ქვებს უბრძანე, იქცნენ – პურებად!.."
რქვა მას იესომ: „მაგ ცდუნებით, გინდა მართობდე?..
ცხონდების კაცი არა პურით, პურით მარტოდენ,
არამედ სიტყვით უფლისათა, წერილ არს ასე..."
ავიდნენ მთაზე... ძლივს მოჩანდა ფერდი – დამრეცი...
და თქვა ეშმაკმა (ჩამოხედა გადაშლილ სივრცეს):
„ესე ყოველი ჩემი არის, ვისაც მსურს, - მივცემ,
ჰა, შენი იყოს, ოღონდ, ოღონდ... თაყვანი მეცი..."
უთხრა იესომ: „მაქვს დიდება, და ძალა მე - ცის...
მე ვარ უფალი, ღმერთი შენი, შენ შემომფიცე –
თაყვანისცემა... ხამს, იცოდე – პატივი ვის სცე...
განვედ ეშმაკო, საზიზღარო, რადა ხარ ბეცი...
წერილ არს ასე: „მსახურებდე შენსა უფალსა..."
(ეშმამ ძეს ღვთისას, შეგონება არ დაუფასა...)
წერილ არს ასე: „უფალს შენსას, სცემდეო თაყვანს..."

შეცბუნდა ეშმა. აწ იესო სხვა მხარეს გაჰყვა
სულს – მაცდუნებლად მოვლინებულს, შერცხვენილს მისით...
ეშმაკი იყო, მაგრამ ღმერთად თავს თვლიდა ისიც...
იერუსალიმს მიაღწიეს, დაფრინდნენ ტაძრის –
მაღალ კიდურზე...(ჰე, არ ცხრება – ზრახვანი ეშმის...)
უთხრა ეშმაკმან ძეს – უფლისას: „ძირს გადაეშვი...
შენ ხომ ღმერთი ხარ, ძე – უფლისა, გაქვს შიში არც რის...
არ დაგჭირდება ჩამოშვება – თოკით და ბაწრით...
დაგიფარავენ ანგელოსნი... მათ ნარნარ ფრთებში -
მოიკალათე, როგორ მოგწონს ასეთი აზრი?.."
თქვა და, ძეს ღვთისას მოუღირა ეშმაკმან ეშვი...
მიუგო მაშინ ძემ უფლისამ: „შენ მიგებ მახეს?
ჰე, შენ გგონია, ცრუ სიტყვების ბადეში მახვევ?–
„არ გამოსცადო ღმერთი შენი", - წერილ არს ასე...
ჩემი გამოცდა, ეშმავ, შენგან აღარ ეგების...
ნუთუ გგონია, მაგ საცდურზე წამოეგები?.."
უთხრა ძემ ღვთისამ, და ეშმაკი – მოშორდა წამსვე...

# ქება მეხუთე

*„. . . და იტყოდეს: „რამე არს მოძღვრება ესე ახალი, რამეთუ ხელმწიფებით სულთაცა არ წმიდათა უბრძანებს და ერჩიან მას?.."*

მარკ. 1,23-27

* * *

მოძღვარს ერთგული მოწაფენი უდგანან გვერდში...
აყვრიდა ვიღაც: „გულს გვიწყალებ შენი მოძღვრებით! . .
ვიცით ვინცა ხარ, წარმწყმედელად ჩვენდა მოხვედი! . .
შენ თუ ღვთის ძე ხარ, უცხო კაცო, ჩვენ რაღას გვერჩი? . .
კაცს – ეშმა უზის საფშვინველში, წკმუტუნებს, ხვნეშის,
„განვედ წყეულო! . ." თქვა იესომ ...(ო, ის ოხერი –
კაცს პირის ღრუდან ამოუძვრა... ხმის დაბოხებით –
იწყო ღრიალი... ფეხზე იდგა – უშნო, უხეში...)
„მალე დასტოვე უწმინდურო, სული ამ კრავის!.."
ბრძანა იესომ, ხოლო ეშმა, ელდანაკრავი,
სინაგოგიდან გაიძურწა – ყმუილ - ყმუილით...
„რა მოძღვრებაა, მავნე სულსაც, რომ იმორჩილებს?..
უფლის ძე არის . . . აჰ, არ უთქვამთ თურმე ტყუილი..."
ჩურჩულებს ხალხი (გაქრა ეშმა, კაცის მოცილე...)

* * *

ქორწილში ღვინო შემოაკლდა მასპინძელს ღარიბს...
ღვინო წყუროდათ გათანგულებს ღვინით და სიცხით...
წყუროდათ ღვინო, და ქრისტემაც აუბა მხარი,
ჰე, გადარჩება მასპინძელი სტუმრებთან სირცხვილს? . .
„წყალი ჩაასხით ქვის კასრებში... " მესია იტყვის...
(რა იცის ხალხმა: მათთან სტუმრად თვით ღმერთი არის...)
და, წამოვიდა შუმი ღვინის კამკამა ღვარი...
სტუმარმა სუფრა დაამშვენა კამკამა სითხით...
„იწყებენ ხოლმე კარგი ღვინით, ბოლოს წყალწყალა –
ღვინო შემოაქვთ...შენ კი, სიძევ, გაქვს და არც მალავ –
ღვთაებრივ ღვინოს..." აქ სიმამრი მასპინძელს აქებს...
ღვთაებრივ ღვინის შემომტანი, აგერ ზის, აქვე...
ეს მესიაა, უფლის ძეა, დღეს მათთან ლხინობს –
უბრალო წყალი ვინც აქცია კამკამა ღვინოდ...

* * *

გვერდში უდგანან ყმაწვილები მამას – ზებედეს,
ღარიბ-ღატაკნი თევზის ჭერით არჩენენ ოჯახს...
მოუხმო ქრისტემ, ღმერთს უარი – ვეღარ შეჰბედეს,
ზურგი აქციეს თევზის ჭერას, გათავდა, მორჩა! . .
სასუფეველი, ბჭენი ცისა, შორიდან მოჩანს...
ფიქრობენ ძმები: „ხამს, ვირწმუნოთ სულთა მეფედ ეს –
ვისაც დღედაღამ მოველოდით . . . დე, ჩვენც შეგვეწევდეს
ძალა იმგვარი, რომ გავუძლოთ საშინელ დრო-ჟამს...

ღმერთს ლანდებივით დაჰყვებოდნენ ზებედეს ძენი…
იყვნენ „პირთამდე აღვსებულნი“ მისდამი რწმენით,
უყვარდათ ქრისტე, და ქრისტესაც უყვარდა ძმები…
ან თავს მოგჭრიან წმინდა კაცნო, ან ჯვარს ეცმებით,
მაგრამ მოიღებთ ღვთის შეწევნით – ზეციურ ნაყოფს,
აქ კი დარჩება საქმე თქვენი, ჩვენს საამაყოდ…

* * *

ოჯახს არჩენდნენ ღვიძლი ძმები – თევზების ჭერით…
მოხუცი მამა შვილებს წვრთნიდა როგორც შეგირდებს…
„ცოდვანი ჩვენნი, მოწყალეო, ღმერთო შეგვინდე…''
ამბობდნენ ძმები, და ხარობდა იმათი ჭერი.
თქვეს ძმებმა: „თევზი დაჭიჭირეთ… ცოტა შებინდდეს
და გავეშუროთ სახლისაკენ… ხვალ ჩვენი ჯერი
ისევ დადგება, თევზებს – ხვალაც დავიჭერთ იმდენს,
რომ გავახარებთ მოხუც მამას – იმათი ცქერით…
„…აი, ეს არის მაცხოვარი, ძმაო ანდრია…”
უთხრა ძმას პეტრემ, წყლიდან ბადე ამოათრია…
და შეეგებნენ ძმები – ქრისტეს, როგორც მოყვრები…
თქვა მაცხოვარმა: „საქმეს თქვენსას თავზე ევლებით,
აწ საქმე ესე მიატოვეთ, მე გამომყევით –
თუ გსურთ გაგხადოთ კაცთა სულთა მესათხევლენი…”

* * *

უფალმა ღვინოდ, რომ აქცია ქორწილში – წყალი,
სწორედ ეს იყო მასპინძელი, ეს იყო - სიძე...
სტუმრის ღმერთობა მასპინძლებმა ერთ წამში იგრძნეს,
ამ ფაქტმა სვიმონს გაუჩინა – სხვა საფიქრალი...
თუმც საპატარძლოს არაფერში არ ედო ბრალი,
მაგრამ მან იგი მიატოვა... იწამა – ქრისტე!..
და მიჰყვა მის გზას კანანელი, ურყევად, მტკიცედ,
აღივსო იგიც – სულიწმინდის ღვთაებრივ ძალით...
და ყოველივე ამსოფლიურს მთლიანად მოსწყდა...
გვერდით დაუდგა თავის რჩეულს – ზეციურ მოძღვარს,
თქვა: „საცდურთაგან, მხსნელი ჩვენი, იესო მიხსნის..."
დიდმა მოძღვარმაც შეიყვარა მოწაფე მისი.
მაცდური ძალა ცრუ საწუთროს ვერ დაანანებს,
თაყვანს სცემს ხალხი უფლის რჩეულს – სვიმონ კანანელს...

* * *

ზის მაცხოვარი ცოდვილებთან, პურსა სჭამს - მათებრ...
„მკურნალი ჯანმრთელს არ სჭირდება, სჭირდება – უძლურს..."
ამბობს უფალი... უსმენს მოძღვარს – კეთილი მათე,
ფარისევლებსაც გადახედავს, და გული უწუხს...
ჰგავს ეს ტრაპეზი, ეს ოთახი, - ეშმაკის კუნძულს,
მაგრამ ძე ღვთისა, მათთან ღამეს იმიტომ ათევს,
რომ ბრიყვი ხალხი გამოსტაცოს ეშმაკის თათებს...
და შხამ-სამსალად არ შეერგოთ, მათ – დედის ძუძუ...

„მოვედი რათა სინანული ვასწავლო ცოდვილთ...
რათა განმდიდრდეს ძე კაცისა – ღვთიური ცოდნით,
მნებავს წყალობა თქვენდა მიმართ, და არა მსხვერპლი..."
თქვა მაცხოვარმან, ხოლო მათემ, ძველმა „მებაჟემ".
მიმართა უფალს (არა ჰგავდა გონებით სხვებს ის):
„აწ იმასა ვიქმ, მაცხოვარო, რაიც გნებავს შენ..."

* * *

*„იმ დღეებში წავიდა იგი მთაზე სალოცავად და მთელი ღამე ღვთისადმი ლოცვაში გაატარა.*

*დილა რომ გათენდა, მოიხმო თავისი მოწაფეები და ამოირჩია მათგან თორმეტი, რომელთაც მოციქულები უწოდა".*

ლუკა, 6, 12,-13

მოციქულები, მოძღვრის ჩვენის მოციქულები!..
ნეტარნი სულნი: ათორმეტნი (ერთად: ცამეტნი..)
რაც სწამდა მოძღვარს, წმინდა კაცნო – თქვენც იწამებდით,
თქვენ არასოდეს არ დაგღლიათ ლოცვით – გულები..
თქვენს მოძღვარს ესავთ, მასთანა ხართ, და ჰა, სრულებით –
აღარ გაღონებთ ეშმას არსი – წმინდა მამები –
ღვთის სიტყვით ცოცხლობთ. უწინდელი გათამამებით –
ვერ იბოგინებს აქ ეშმაკი, ავი სულები...
ჰე, მოციქულნო, უფლის ძმანო, წმინდა მამებო,
ზეცაში ჰგიებს სულთა თქვენთა წმინდა სამეფო...
ღვთის სიტყვას თესავთ, აქ, მიწაზე, თქვენს სულს ცხონება...
ეშმაკი ავი, ველარ შეძლებს ჩვენს დაღონებას..
დაემხობიან ბომონები, უქმი ტაძრები..
გზა – უფლის კაცებს! ჰე, სატანავ, სადღა დაძვრები?..

# ქება მეექვსე

* * *

მთესვარი ვინმე, თესლს თესავდა. დრო იყო თესვის...
დავარდა თესლი გზასა ზედა, და ჩიტმა, ციდან
შენიშნა იგი... გახარემას რას დააცლიდა
ფრინველი იმ თესლს... გადაყლაპა ჩიტმა ის თესლი.
დავარდა თესლი კლდესა ზედა, გაიდგა ფესვი...
მაგრამ თესლს დახვდა სიღრმე მიწის – სულ ერთი ციდა,
და როცა ცაზე მოკაშკაშე მზე გამობრწყინდა,
გახმა, დაუდგა აღსასრული, მას – უსწრაფესი.
ჩავარდა თესლი ეკალ-ბარდში, მიწას – ველიანს,
რას გაარღვევდა? – გზა მიწაში ვერ გაეკვლია...
ვერ გადაურჩა თესლი იგი – ეკალთა ფესვებს.
დაუხვდა მიწა ნოყიერი, თესლს, და ო, ისღა
გადარჩა, ჰოდა, მან ნაყოფიც მეტი მოისხა.
თქვა მაცხოვარმან მრევლსა შორის, იგავი ესე.

* * *

„მე ვარ ის, ვინც ვარ, დასაბამი, და დასასრული...”
ამბობს მოძღვარი, მზე – უქრობი, უკუნშიც მნათი...
და უწყის მრევლმან: გაგრძელდება ცხოვრება მათი –
იქ, ცათა შინა, სამრძანისი სადაც არს უფლის.
შავ ჯოჯოხეთში ჩაინთქმება ბნელი წარსული,
ცა განეხსნებათ სიყვარულით, და უფლის მადლით,
დადგება ჟამი სულით წრფელის, და გულით მართლის,

გვამს – ცოდვის მუდეს, მიწა შესჭამს, წმინდა არს – სული.
დგას მაცხოვარი მრევლსა შორის როგორც მ თ ე ს ვ ე ლ ი,
იძახის მრევლი: „რამი, ჩვენ იმ – ნათელ დღეს ველით,
როცა მოვიმკით შენგან ნათესს ღვთიურ მოსავალს...
ჰე, უფლის ძეო, შენ უქრობი – შუქით მოსავ მას –
ვინც შენა გრწმენინ, შენ გვამყოფებ ღვთიურ ნათელში,
იხარებს თესლი – ჩვენს გულებში შენგან ნათესი... ”

* * *

„ხალხნო, დაამხეთ ეგ ტაძარი,” – უფალი ბრძანებს...
„ხალხნო, დაშალეთ ეგ ტაძარი,” – ბრძანებს უფალი...
გარს ახვევია უფალს ხალხი: კეთილიც, მავნეც -
ვინც იკვებება სხვისი სიტყვით, ვით ნასუფრალით...
„მე აგიშენებთ ახალ ტაძარს, არა თუ მალვით,
არამედ ცხადად, სულ სამ დღეში, მას ეთაყვანეთ...
ხალხნო, დაამხეთ ეგ ტაძარი, ან მე და ან ეს–
(წიაღ ბომონთა არ დაიდოთ, თქვენ – სასთუმალი...“)
„ხალხნო, დაამხეთ ეგ ტაძარი,” – იტყვის იესო...
უკვირთ უმეცართ: „აგვიშენებ, შენ მაგიერსო?..“
„იცი, რამდენ ხანს შენდებოდა ტაძარი ესე?–
სამ დღეში ტაძრის აშენებას როგორღა შეძლებ ?..”
–„კაცის ხელებმა ააშენეს, იგი – რაც არის”, -
ამბობს უფალი, - თქვენ მრევლი ხართ, მე ვარ – ტაძარი..”

# ქება მეშვიდე

* * *

I

მზე იკბინება, ხალხს სახეზე გადასდის ხვითქი...
ხუთიათასი იქნებიან – მოშივდათ უკვე...
(ისმენენ მოძღვრის ქადაგებას. დღე არის უქმე...)
ამდენი ხალხის დაპურება იოლად ითქმის?..
ბიჭს ხუთი პური აღმოაჩნდა; აბგაში ითვლის...
ჰა, ორი თევზიც... მაცხოვარი მარჯვენას უქებს...
რა ეშველება ამდენ მშიერს, მოძღვარი თუ ქვებს
ახლა პურებად აღარ აქცევს?.. (ჰე, ლოკონ თითი?..)
„ჩამოარიგეთ პური, თევზი", - უთხრა ანდრიას –
დიდმა მოძღვარმა... აჰ, მოწაფეს მოძღვრის ხათრი აქვს,
თუმცა ყოყმანობს – აქეს იმედიც, ძალა სწამს ზეცის...
დანაყრდა ხალხი!.. „არ დატოვოთ ერთი ნამცეციც..."
ბრძანებს მოძღვარი... უხარიათ. ხალხი გალაღდა...
და ნამცეცებით აავსებენ – თორმეტ კალათას...

II

ხუთიათასი მამაკაცი (ბავშვი და ქალი –
თითქმის ამდენი) – დამშეული შეჰყურებს მოძღვარს...
ჰე, ღვთის შვილებო, „ობლის კვერი" გვიან გამოცხვა?..
თქვენს მფარველს ესავთ, და არა გაქვთ სხვა საფიქრალი.
ვიღაცას პური აღმოაჩნდა, სულ: ხუთი ცალი...
და, ორი თევზი... ეს გეყოფათ?.. ჰე, ვის გამოც ხვალ,

თუ მან მოგიხმოთ, სახლებიდან ისევ გამოხვალთ –
ის დაგაპურებთ, ხუთი პურით, ღვთიური ძალით.
ო, სასწაული უფლისაო... ხვდებიან აწ-და,
რომ შენ ხარ ჩვენი მაცხოვარი... სულყველა გაძღა...
ხუთიათასზე მეტნი იყვნენ!.. დიდება უფალს!..
ეს იყო მართლაც საკვირველი, ღვთიური სუფრა!..
„თქვენ ხართ მარილნი სოფლისანი, ხოლო მე - პური..."
ისმოდა სიტყვა ღვთაებრივი, წმინდა, მეფური...

* * *

I

ზღვაზე გრიგალი ამოვარდა, იელვა სეტყვამ...
აუტაცნია ოჩხამური მგრგვინავ სტიქიონს...
სურს მეთევზენი ცისკენ სტყორცნოს, შორს მოიქნიოს...
წყალში აღმოჩნდნენ მეთევზენი, სული ძლივს ედგათ...
აჰა, ზღვა ჩანთქავს მეთევზეებს– და საიქიო
მიიღებს საწყლებს... ზღვა ბობოქრობს, და უტევს მედგრად,
დააზიანა ტალღამ კიჩო, გაბზარა ერთგან,
ვიღაცა ბღავის: „ნავო ჩვენო, საით მიჰქრიო..."
ძმებმა მოძღვარი გააღვიძეს, უთხრეს „უფალო,
შენ თავად ხედავ, სიცოცხლეს ვთმობთ ტყუილუბრალოდ–"
ამბობს იესო: „თქვენს რწმენაზე არ გიფიქრიათ?.."
წამოიძახა: „დაცხრი ქარო, ჩადექ სტიქიავ!.."
ესმის სტიქიონს უფლის სიტყვა, უფლის ძახილი...
და ზღვა – გაჩუმდა, მოიკაკვა – ქუჩის ძაღლივით...

II

ზღვაზე ჩამოწვნენ შავი ღრუბლები,
მღელვარე ტალღა – ტალღას აწყდება...
შეშინდა ხალხი, რა ქნან საწყლებმა?..
ხმობენ: „უფალო, დაგვიღუპებით...“
რა ველურ ქინით, ან რა უფლებით
ბრაზობს სტიქია?.. თუმცა ნაკლებად
არც ეშმაკს ულხინს, რა ენაღვლება
თუ დაიხრჩობა ყველა უკლებლივ?..
ადგა მოძღვარი (ჰა, რაღას იტყვით?..).
დააცხრო ღელვა ღ ვ თ ი უ რ ი  ს ი ტ ყ ვ ი თ . . .
დააცხრო ქარი ღ ვ თ ი უ რ მ ა  ნ ე ბ ა მ . . .
გარს ეხვევიან ზეციურ მოძღვარს...
გახარებულნი, თავს ხრიან მორცხვად,
ხმობენ: „ღმერთია, სხვა ვინ იქნება?!.“

* * *

I

გრიგალი ისევ ამოვარდა ...პატარა ნავი
დაატრიალა ნაფოტივით...შეძრწუნდა ყველა...
უკუდგა ნავი, შუა ზღვაში სვლა შეანელა,
ნავს ჩასანთქმელად ემუქრება ტალღათა შვავი...
შეჭირვებული მეთევზენი ითხოვენ შველას...
ჰა, ეს სურათი – ამაზრზენი, და გულსაკლავი,
მთაში იხილა მაცხოვარმა... აღმართა მკლავი ...

სურს მოევლინოს მეთევზეებს – ქომაგად, მცველად.
შველას ითხოვენ... ჰე, ნავიდან თეთრი ალი ჩანს...
გადაეშალა ზღვა იესოს, ფეხქვეშ - ხალიჩად...
იესომ წყალზე გაიარა როგორც მიწაზე...
„ლანდია! ...წყალზე მოაბიჯებს!.." შესძახეს ერთხმად,
შიშმა შეიპყრო მეთევზენი . . . იესო შედგა,
თქვა: „გწამდეთ ჩემი, მხსნელად თქვენდა თუ კი მიწამეთ..."

II

კაცი ტალღებზე მოაბიჯებს შუაგულ ზღვაში!...
ამაზე მეტი რა იქნება საკვირველება!..
ზღვა კი ბობოქრობს, და ნავს ტალღა თავზე ევლება,
არ უშინდება „მოჩვენება" – სტიქიონს საშიშს!..
არ შეიძლება შეგეშალოთ მოძღვარი – სხვაში!..
ჰე, მოციქულნო, თქვენ სტიქიონს ჰყავხართ მძევლებად!..
და რომ ძე ღვთისა არ გფარავდეთ, რა გეშველებათ...
დაიღუპებით, თქვენს ორსხომელს ეშმაკი დაშლის...
. . . ზღვამ ვეშაპივით ჩასანთქმელად დააღო ხახა...
შეჭირვებულნი, ძემ უფლისამ, სიზმარში ნახა...
გადმოიარა უბე ზღვისა, როგორც მინდორი...
გაბეზრებულნი მეხთატეხით, უამინდობით,
მოციქულები მუხლს უყრიდნენ მოძღვარს საკვირველს...
ამბობდნენ ერთხმად: „აწ ეშმაკი გზას ვერ აგვირევს..."

* * *

შეიცნეს ძმებმა მაცხოვარი ღამეულ ლანდში...
თქვა პეტრემ: „რაბი, მეც მასწავლე ტალღებზე გავლა..."
და – პეტრეს სულში ღვთაებრივმა ძალამ იმრავლა...
და მას ოდნავღა დაუსველდა ფეხსაცმლის ლანჩი...
და უცებ, პეტრეს შეეშინდა... შეუდრკა ამ ჭირს...
აღმოხდა: „რაბი, ვიძირები, მელევა ძალა..."
„სად არის პეტრევ, შენი რწმენა, კლდე-კაცო, რა გჭირს?.."
მიუგო „რაბიმ", - „შეგეშინდა? ნუ დამიმალავ..."
უფალმა ხელი გაუწოდა საბრალო პეტრეს,
უთხრა: „შენს გამო მამა-უფალს, ღმერთს შევევედრე,
დაე, აწ ღმერთმან განგამტკიცოს – ღვთისადმი რწმენით..."
განმტკიცდა პეტრე ამ წამიდან, როგორც სალი-კლდე...
„რწმენის გარეშე განსაცდელში თავს ნუ ჩაიგდებ..."
თქვა მაცხოვარმა, და დასძინა: „მე მჯერა შენი..."

# ქება მერვე

* * *

დგას დიაცი ჭასთან სურით,
ქალი – ცელქი, მოცინარი...
შვენის საქმეც დიაცური...
(ჭას არა აქვს ოწინარი...)
არ ეყოფა მწყურვალს - ცვარი...
კლავს წყურვილი უნებური...
მგზავრი წყალს თხოვს, დრო წინ არის,
დგას ჰაერში: სიცხე, ბური...
„თვალი რისთვის ამარიდე?.."
შესვა წყალი, და თქვა ასე –
„მგზავრმა" (ქალი თავს ხრის მორცხვად)
ვით შეჰფერის ღვთიურ მოძღვარს,
დააყენებს წადმართ გზაზე –
დიაცს, წარმართს, სამარიტელს...

* * *

1.

მას იხილავს, და დარჩება კაცი – სახტად,
ჰე, „ბეტ-ხასდა", საოცარი აუზია...
ეს აუზი წყლით პირთამდე აუვსიათ...
მუდამ არის ამ აუზთან – გროვა ხალხთა...
თქვენ აქ ნახავთ: ბრმას, ხეიბარს, და კუზიანს...
ყველას, ვისაც – სნეულება ჩაუსახლდა –
სულში, გულში... იბადება კაცი - ახლად...

სნეულები – ღვთის წყალობას აქ უცდიან...
დაეღლება მლოცველ სნეულს ბაგე - ლოცვით...
ჩამოიფრენს, ფრთებს შეახებს ანგელოზი
წყლის ზედაპირს... აღელდება წყალი უცებ...
და პირველი, სნეულთაგან ვინც მიუსწრებს –
პირველ ტალღებს, იკურნება სასწაულად...
(დავრდომილი, ამ ჯადო-წყალს სად წაუვა?.)
2.
ოცდათვრამეტი წელიწადია
წევს ამ აუზთან, კაცი – გლახაკი...
ღონე ელევა, წლები - გადიან...
უმზერს შორიდან, აუზს - გასაკვირს...
დავრდომილია, თანაც ასაკი –
ხელს უშლის საწყალს, თუმცა სწადია –
დროზე მიუსწროს ტალღას - მადლიანს...
ჰე, ვინ მიუშვებს, წყალთან, მას, აქ ვინ?!.
დაიწყებს რხევას: ტალღა, და ხალხი –
წამოცვივდება... წვალებად არ ღირს
ამ სნეულისთვის ამდენი ფორთხვა...
ის ვის მიასწრებს? მართალი რომ ვთქვათ:
ამ სნეულივით სხვაც ბევრი ცდება...
იმარჯვებს ერთი...(ღმერთს ასე ნებავს...)
3.
ნახა იესომ გასაჭირი ამ დავრდომილის,
ხედავს რომ კაცი განკურნებას ამაოდ ცდილობს,
და უთხრა: „გინდა განკურნება? ჰე, ცოდვის შვილო...“
უთხრა სნეულმან: „ვინ მიშველის, ფუჭად დრო მიდის...”

წლებს მიათრევდა ფორთხვა-ფორთხვით, ფუჭი შრომით ის...
სნეულო კაცო, ცისკენ, ღვთისკენ ხელებაწვდილო,
არ შეიძლება უფლის ძემან, რომ გაგაწბილოს...
ჰე, იქნებ გრძნობდი, მკურნალს შენსას, რომ იპოვიდი?!.
უთხრა იესომ: „ჰა, აიღე შენი საწოლი...
და სახლში წადი..." (თუ ჰყავს დედა, შვილი ან ცოლი,
გაიხარებენ... ფეხზე დადგა კაცი – სნეული...)
ფეხზე დგას კაცი, თითქმის ლეშად გადაქცეული...
განიკურნებით, მომაკვდავნო, ღვთისადმი რწმენით!..
დიდ არს უფალო, საქმე შენი, სრახვანი შენნი!..

* * *

მიასვენებენ ვიღაც ყმაწვილს. ქალებს – შაოსნებს,
მოთქმა-ტირილი გაუმართავთ როგორც წესია...
ხალხი თავდახრით უკან მისდევს, და პროცესია -
მიემართება სოფლის ბოლოს – სასაფლაოსკენ...
და ამ დროს, ხალხმა დაინახა, იბი, მ ე ს ი ა !..
შეპბღავლეს: „იქნებ გააცოცხლო ... შენ მის სამოსელს –
ხელს თუ შეახებ, გაცოცხლდება... ნუ დააოსებ
გლოვით მის დედას, მისი ტანჯვა უმძიმესია..."
ჰე, ქვრივ ქალს პირმშო მოკვდომოდა, საბრალო დედა –
გულამოსკვნილი მისტიროდა საყვარელ ცხედარს...
მოსთქვამდა: „შვილო, ვინღა შეძლებს შენს
გაცოცხლებას?!."
მიუახლოვდა მკვდარს მ ე ს ი ა, და უთხრა: ,,ა დ ე ქ !.."
შეირხა მკვდარი... ხალხს სახეზე მკვდრის ფერი ადევს...
დედას, თვალთაგან ნეტარების ცრემლი მოსწყდება...

* * *

1.

დიაცს სიმრუშე მოერია, რამეთუ სულში –
ჩასახლებოდნენ ეშმაკები, ერთბაშად: შვიდნი...
რაღას დაგიდევთ დედაკაცი – ნამუსს და სინდისს,
როცა ეშმაკი (ისიც შვიდი!) ცხოვრებას უშლის...
ეშმაკს ცხოვრების გამრუდებას რას დაუშლიდი?..
(გაუჩენია ალბათ დიაცს მრავალი ბუში...)
მართლაცდა, საქმე ხომ არ არის მარტოდენ – ფულში?..
დაჰკარგა ქალმა მაწანწალამ, ცხოვრება – მშვიდი.
მაგრამ გამოჩნდა მხსნელად მისდა, დიდი მ ე ს ი ა...
და გაიძურწნენ ეშმაკები ... შვიდივე ერთად...
ამბობდა ღვთისკენ მოქცეული: „მაცხოვნა ღმერთმა..."
ამბობდა: „ვგრძნობდი, ეშმაკები რომ დამესია,
მაგრამ რა მექნა? აწ გადავრჩი, და მიხარია..."
ღვთისკენ მოქცევა უხაროდა ცოდვილ მარიამს...

2.

შესცქერის ქალი უებრო მოძღვარს,
და მორიდებით, ეტყვის: „მოძღვარო,
ჩემს სანახავად ხვალაც მოხვალო?.."
ეტყვის და, ისევ, თავსა ხრის მორცხვად.
ეტყვის მოძღვარი: „იქნება დროც – სხვა...
ჰე, შენს ნაზ გულში, ვხედავ რომ ხარობს
სიკეთის ნერგი... გთხოვ, არ მოხარო
თავი – ენებისად, გიშველის – ლოცვა...
„უფალო, ცეცხლი – რომ დამიამო,

არა არს გზაი?" - „ოჰ, მარიამო,
არს გზა ერთი, ნათელი წმინდა..."
„რაი არს ეს გზა?... ვიცოდე მინდა..."
„ესე გზაი არს – გზა ჭეშმარიტი..."
„თმოს გულმან სხვა გზა? – ქმნას ეს მან რითი?..."

3.

ტირის მარიამ, და ცრემლებს აფრქვევს,
გზას ეძებს ხსნისას – დიდი ხანია,
მას ურჩევნია სიკვდილი აქვე,
ცოდვა თუ ვეღარ მოინანია . . .
უთხრეს ქალს ლამაზს, ალვისტანიანს :
„დროზე მოშორდი მრუშ კაცთა სახლებს,
თორემ სატანა – კვლავ ჩაგისახლებს
სულში – ეშმაკებს, ცოდვა – მავნეა... »
საწყალმა ქალმა, ვეღარ მოზომა...
გადააყოლა სული – ბოზობას...
და სწორედ ამ დროს შეხვდა იესო.
მან რქვა: „ვიწუნებ შენს საქციელსო..."
ვინც მისი წონა ცოდვები ზიდა –
ჰა: შემობრუნდა მაცდური გზიდან...

# ქება მეცხრე

კაცი დაძრწოდა კლდე-ღრეებში, ნამდვილი – გიჟი...
ველარ აბამდნენ ჯაჭვებითაც, ამსხვრევდა ბორკილს...
იგრიხებოდა საცოდავი მტანჯველი ბორგვნით...
(რას იზამ, ეშმა ცხოვრებაში ხელს როცა გიშლის...)
დაღამდა. ციდან ჩამოეშვა ფერები გიშრის...
ჰა: სასაფლაო, კაცს უმეცარს შიშის ზარს მოჰგვრის...
ვიღაც გორაობს საფლავებთან – ვით დიდი მორგვი...
(წარწყმდეს ეშმაკი! – არ ეშლება მას ანგარიში...)
ეს ის „გიჟია“, 'უფრო სწორად: ეშმაკეული...
აყვირდა გიჟი, შეპყრობილი, ტვინამღვრეული,
ოდეს იესო დაინახა – გზადმომავალი . . .
შესძახა გიჟმა: „რაღას მერჩი, ან რას მავალებ?!.
ვიცი ვინცა  ხარ, ჩემი დასჯით გინდა გაერთო?..
შენ უფლის  ძე ხარ, და მე და შენ რა გვაქვს საერთო?...
სახელი ჰკითხა „გიჟს“ იესომ, აჭყავლდნენ ქაჯნი...
*„ჩვენი სახელი ლეგიონი...* ” აღმოხდათ ქაჯებს...
რა გვეშველება, ღმერთო, შენგან თუ დავისაჯეთ...
ღორების კოლტში ჩაგვასახლე, და ნუღარ დაგვსჯი...
ჩვენ ჩავუსახლდით ამ უბედურს, მის გვამში დავრჩით...
შენ ნუ ინებებ ჩვენს დაღუპვას, ჰე, განა არ სჯობს –
ღორების კოლტში ჩაგვასახლო... ვეშმაკობთ, ვქაჯობთ...
აწ კი ღორებთან ვიძუნძულებთ – ავდარში, დარში...”
და ჩაუსახლდნენ უფლის ნებით, ეშმაკნი – ღორებს,
ოთხფეხ ცხოველებს გულ-მუცელი ამოუყორეს...
ექვსიათასზე მეტნი იყვნენ (თუმც შიშით ძრწოდნენ...).
გადაირია  ღორის კოლტი... მიაწყდა კბოდეს,
ღორები კლდიდან გადაცვივდნენ... ასე რომ, მაშინ:
ღორებთან ერთად ეშმაკებიც დაიხრჩვნენ წყალში...

* * *

წააწყდი გზაზე ეშმაკეულთ, და შენ ამათი
ბედი გაწუხებს მაცხოვარო, ყოვლად წმინდაო...
და ჰა, ეშმაკებს მოაშორებ, მათ საოითაოდ,
და უკვე დგანან უვნებელნი, საღ-სალამათნი...
უფალი გიჟებს გადარჩენას არ დააშადლის...
მაგრამ ეშმაკნი იძახიან: „რისთვის ვიდაოთ,
აი, ღორები, მათ ჯილაგში ყოფნა გვინდაო...“
და აჰა, ასეც მოიქცევა დიდი თავადი...
ეშმაკნი ღორებს ჩაუსახლა, და ჰა, ღორები
გადაირივნენ მათთან ყოფნით, მათთან „ცხოვრებით...“
და ლოდებივით გადაცვივდნენ ყველანი – კლდიდან...
ჩაიხრჩვნენ წყალში ეშმაკებიც... ხედავდა მრევლი –
სასწაულს ამგვარს, მუხლს უყრიდნენ: „ო, ყოვლად წმინდავ...“
და იხსენებდნენ ეშმაკეულთ ძრწოლვით და წყევლით...

* * *

ჰე, იაირის, სინაგოგის ერთ-ერთ წინამძღვარს,
პატარა გოგო უკვდებოდა, თხოვეს ი ე ს ო ს –
იქნებ როგორმე მოერჩინა, „სულზე მიესწრო...“
(მოურჩენია მომაკვდავი, ღვთის ძეს, წინათაც...)
ამასობაში მოკვდა ბავშვი პაწაწინა და,
ხალხით გაივსო ის უბანი, ის გზა, ის ეზო...
მოვიდა IGI, თქვა: „ნუ სტირით, თქვენ – უმიზეზოდ...“
(ვითარც მზე – ღამით ყომრალ ცაზე, ისე ბრწყინავდა...)
შეჰბღავლა მამამ: „შენზე ძვირფასს ვის ვინატრებდი,
შენს მოლოდინში, დარჩენილი წლებიც მომაკლდა...
შენ უშველიდი, ჩვენო მხსნელო, ჩვენს შვილს,
მომაკვდავს...“
ხელი შეახო ქრისტემ გოგოს, ის – უფლის მტრედი –
იწვა უსულო, მილეული, და პაწაწინა...

თქვა მაცხოვარმან: „არ მომკვდარა, მას მხოლოდ სძინავს...“
ხელი შეახო ქრისტემ გოგოს, და უთხრა ასე:
„ადექ გოგონავ...“ და შეირხა უსულო გვამი...
ჰე, ვის შეეძლო დაჯერება ამგვარი რამის?..
გოგონა უკვე აღარ ჰგავდა სულეთში წამსვლელს...
ბრძანა უფალმა: „ადექიო“, და გოგო წამსვე
ფეხზე წამოდგა... სიხარული დედის და მამის –
უსაზღვრო იყო... გაისმოდა: „უფალო, ამინ...“
და ულოცავდნენ სვე-ბედნიერ, დედ-მამას, ამ სვეს...
ჰე, სიკვდილს, სიკვდილს, მაგ მუხანათს, ვინ სად წაუვა?
მაგრამ ყველანი განაცვიფრა ამ სასწაულმა...
ყველამ იწამა მომღერის ძალა, მისი ღმერთობა...
ურწმუნო ხალხი აწ ქირქილით ვერ გაერთობა...
იწამა ხალხმა, რომ დასძლევენ რწმენით აღმართებს...
მორწმუნე ხალხი ღმერთს მადლს სწირავს, მოძლვარს ადიდებს...

* * *

დიაცს სისხლდენა აწუხებდა, წყლულები თანაც,
იტანჯებოდა ის საწყალი თორმეტ წელიწადს...
ზოგიერთს ზოგჯერ ვერა შველის დასტაქრის დანაც,
ხოლო მორწმუნე იკურნება უფლის რწმენითაც...
ქალს ჰქონდა რწმენა. და იცოდა, ვინც უშველიდა...
ისე უჭირდა მაგ საცოდავს ტანჯვის ატანა,
რომ მოძღვარს უკან აედევნა ფეხშიშველი და,
მთრთოლვარე ხელი, როგორც იმედს, მას წაატანა...
მობრუნდა ქრისტე, და იკითხა: „ვინ მახლო ხელი?..“
ატირდა ქალი, ვით ცოდვილი, ბილწი, მკრეხელი...
თქვა: „მე შეგცოდე, მომიტევე დიდო მოძღვარო...“
„ ... თუმც განვიკურნე, იქნებ ღირს ვარ ცრემლი რომ ვღვარო?..
ამბობდა ქალი, და ტიროდა უფლის წინაშე...
თქვა მაცხოვარმან: „რწმენამ შენმა მოგარჩინა შენ...“

* * *

ტაძარში ქალი მოიყვანეს ფარისევლებმა...
წავამწარებთო კახპა დიაცს, საძრახის ნაბიჯს...
მოესწრით თურმე მაგ ქალისთვის თვალის შევლება:
უნახავთ იგი მემრუშესთან – ჩახდილი კაბით...
„დიაცს რომელიც სამეძაოდ კარდაკარ დარბის,
სჯულის თანახმად არაფერი არ ეშველება...
უნდა ჩაჰქოლონ ეს დიაცი ჩვენმა ხელებმა...
არ არის ღირსი სიკვდილისა? – რას იტყვი რაბი?..."
იესომ დიდხანს ხმა არ გასცა, და თქვა ეს მხოლოდ :
„მემრუშე დიაცს ქვა პირველმა იმან ესროლოს –
ვინც თავად არის უცოდველი..." და ქალს შეხედა...
და... გაიძურწნენ, ვერ გაბედეს ქალთან შეხება...
„ამიერიდან ნუ აჰყვები ბნელ გულის წადილს..."
უთხრა იესომ კახპა დიაცს, – „შენი გზით წადი..."

* * *

ხალხი მორჩილი, მოედანზე მოძღვარს უცდიდა...
მიწაზე ეგდო მათხოვარი, არ იყო მთვრალი,
თვალში სინათლე დაშრეტოდა ბრმას – ორთავ თვალით,
გამოჰყოლოდა მას სიბრმავე – დედის მუცლიდან...
ფარისეველნიც იქვე იდგნენ (ცალკე), თუმც დიდად
არ უხაროდათ მოძღვრის ნახვა, რომ ვთქვათ მართალი, –
შიშობდნენ კიდეც, მოელოდნენ გულის ფანცქალით –
მას, ვისაც თვალი გონებისა – მზეებრ უჭრიდა...
უცებ, შესძახა მათხოვარმა: „რაბი, რაბუნი...
ო, შემიწყალე უსინათლო, გლახა, ძაბუნი...
ვინძლო თვალები ამიხილონ შენმა ლოცვებმა..."
შესდგა მესია, და ბრმას უთხრა: „შენ გიხსნა რწმენამ..."
და, ბრმას თვალები აუხილა, დღე გაუთენა –
მას, ვინც ბრმა იყო მთელი მისი დღე და მოსწრება...

* * *

მოკვდა ლაზარე!.. მიიცვალა, მკვდრის ფერი ადევს...
სამგლოვიარო საბურველი სხეულს უფარავს...
ტირიან დები: „ნეტავ მოძღვარს გაეგო ადრე..."
(წმინდა არს, წმინდა, უფლის მიმართ – ლოცვა, მუდარა...)
მოვიდა ᲘᲑᲘ, მოევლინა ტანჯული – სულს დარად...
მკვდარს მაცხოვარი ეუბნება: „ლ ა ზ ა რ ე  ა ღ ს დ ე გ!.."
აღსდგება იგი! უფლის ნება – ხომ უნდა ახდეს...
აღსდგა ლაზარე!.. მოიშორა თეთრი სუდარა...
ძემ უფლისამან აღადგინა ოთხი დღის მკვდარი...
ლოცულობს ხალხი, დაბნეული, მუხლებზე მდგარი...
„მე ვარ აღდგომა, და სიცოცხლე..." მოძღვარი ამბობს...
მუხლს უყრის მრევლი ჩვენს მაცხოვარს, შეჰბედავს ამბორს...
დაეხსნა მკვდარი საიქიოს, სიზმრებს საზარელს...
ჰე, მაცხოვარმან აღადგინა მკვდარი ლაზარე...

* * *

„ვინ ვარ მე? ვინ ვარ?.." ჰკითხა პეტრეს, დიდმა მოძღვარმა,
„შენა ხარ ქრისტე, ჩვენი მხსნელი", - იყო პასუხი...
პასუხობს პეტრე მასწავლებელს, თუმცა მას უკვირს –
მოძღვრის შეკითხვა, და მორჩილად თავი მოხარა...
„გინდათ წარწყმედა?.." პასუხობენ, მოძღვარს: „ოჰ, არა..."
(მაშ თუ ასეა, შეინახეთ ეს „თამასუქი..."
ვინც ღვთის კვალს მისდევს, დააფრქვიოს, დე, ცამ მას შუქი...
არ იქცეს იგი – წარწყმედილად, და ნაოხარად...)
ავიდნენ მთაზე. თქვა იესომ: „გახსოვდეთ ვინ ვარ..."
უცებ, იცვალა სახე მისი, დაიწყო ბრწყინვა –
სამოსმა მისმა, გახდა თეთრი, თოვლივით თეთრი...
ხედავენ მოძღვარს, მოკაშკაშეს, ცის წიაღს ერთვის!..

საკვირველებავ!.. დედამიწას თითქოსდა მოსწყდა...
გაკვირვებულნი შესცქეროდნენ საკვირველ მოძღვარს...
საკვირველება დაინახეს მათმა თვალებმა!
საკვირველ მოძღვარს გვერდით ედგნენ – მ ო ს ე, ე ლ ი ა...
(ჰოი, ძეს ღვთისას, თურმე უკვე – ცაში ელიან...)
ეს იყო უფლის საკვირველი ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა ...
თქვა მაშინ პეტრემ: „სახილველად საშინელია...
გვითხარი რაბი, ჩვენ, შენს მოყვრებს რა გვევალება?..”
(თუმც ეშინიათ, აღარც ერთი არ იმალება...
გაკვირვებულნი შესცქერიან ცის თაღს – ელვიანს).
თქვა პეტრემ: „რაბი, აქ აღვმართოთ სამი კარავი...
შენთვის, მოსესთვის, ელიასთვის, აქ სხვა არავინ
არ უნდა იყოს, აქ იყავით, მხოლოდ თქვენ – სამნი...“
აგრილდა უცებ, გაიფანტა, გაირღვა ნისლი...
და ხმა მოისმა ღრუბლებიდან – უფალი-მამის:
„ეს არს ძე ჩემი საყვარელი, ისმინეთ მისი...”

# ქება მეათე

* * *

ჰა: მთა თაბორის, ჰა: ქალაქის გადასახედი,
უნდა დაესწროს მაცხოვარი – იქ წმინდა „პასექს...“
უწყის უფალმან: გარჯას მისას ვინ დააფასებს,
შედის ქალაქში მაცხოვარი, შედის – სახედრით.
ნოხებს უფენენ, პალმის რტოებს უყრიან გზაზე...
დე, მრევლმან წრფელმან, მიიჩნიოს უფლის სახედ ის;
მოდის მესია, გარჯას ღვთიურს ვინ დააყვედრის?..
დღე არის მართლაც ღვთაებრივი, სინათლით სავსე...
ქუჩა აივსო ბზის ტოტებით, ბზები და ბზები –
ყრია ქუჩაში, ხმობენ მრევლნი შვებით და გნზებით:
„დიდება შენდა მაცხოვარო, ოსანა, ამინ...“
ჰე, ფარისევლებს ჩაუმწარდათ წმინდა „პასექი...“
თაყვანს მცემენო მორწმუნენი, მართლაც მას ეთქმის...
და, გაიხარა მაცხოვარმან, მჭვრეტელმან ამის...

*ცრუ მღვდელმთავართა, კათაკმეველთა და ფარისეველთა მიმართ*

„ხალხნო, იქედნეს ნაშიერნო, ეშმაკის ტოლნო...
სარგებელს ითხოვთ: თუ კი სადმე სიტყვა დასძარით...
რადგან – ოქროა თქვენი ღმერთი, თქვენი ტაძარი...
მაგრამ უწყოდეთ: თქვენ სულყველას ერთი გაქვთ ბოლო...
გადაიყარეთ, უწმინდურნო, თავზე – ნაცარი...
დიახ: საფლავიც ლამაზია, გარედან... ხოლო –
შიგნით სავსეა სიბინძურით, ვიცით რაც არის...
თქვენც ასეთნი ხართ... გინდათ სხვებიც, რომააყროლოთ...
ცხადშიც და ძილშიც გელანდებათ ოქრო და ოქრო...

გინდათ წაბილწოთ, გინდათ წარყვნათ, და აოხროთ –
სული კაცისა: ღვთის ტაძარი, სადგომი უფლის...
თქვენ აქლემს შთანთქავთ ძვლებიანად, თქვენ რწყილს მოწველით–
თქვენ ხართ თვალთმაქცი მორწმუნენი, ყალბი მლოცველნი...
მაგრამ უწყოდეთ: ღვთის სამსჯავროს გვერდს ვერ აუვლით..."

* * *

ხალხს კაიაფამ სულის საზრდო რა უნდა მისცეს?...
ზურგი აქციეს სინაგოგებს, ირწმუნეს ღვთის ძე!..
აჰ, კაიაფავ, არ გაწუხებს, არა, კაცი რომ –
ჰე, შურის გამო, შურის გამო, უნდა გასწირო ?..
ჰე, კაიფავ, შენ მაგ მკერდში ქვის გული გიძევს,
ვეღარ გაივლი შე პირშავო, მაგ ბეწვის ხიდზე...
ჰე, კაიაფავ, სამათხოვროდ ხელებგაწვდილო,
სირცხვილით შენით, დიდი ღმერთი არ გააწბილო...
აჰ, მოგვეო დიდო, მღვდელმთავარო, ჰე, კაიაფავ !..
აჰ, რა უგულოდ, აჰ, რა ურცხვად, აჰ, რა იაფად
იმეტებ მოყვასს, თვისტომს შენსას, შენს სისხლს და გვარ-ტომს...
თავს იწონებენ უწმინდურნი, წმინდანნი ვართო...
მაგრამ იოლად იმეტებენ – გინდ მტერს, გინდ მოყვასს...
ენა ვერ იტყვის, მათს სიფლიდეს რაც მაშინ მოჰყვა...

* * *

ამბობს იესო: „ხამს, ხალხისთვის დავღვარო სისხლი...
ესე არს ნება ზეციერის... ნუ დამაყვედრებთ –
რომ მსურს დაგტოვოთ... თუმცა ერთად ვიყავით დღემდე,
ჩვენს საქმეთ ღმერთი აგვიწონის – სულ მისხალ-მისხლით...

ბოლოს დასძინა: „ვერაფერი, აწ ველარ მიხსნის...“
„მოძღვარო ჩვენო, მხსნელო ჩვენო, ღმერთს შეევედრე –
რომ ნუ იყოფინ საქმე ესე...“ თქვა მაშინ პეტრემ,
შეაწყვეტინა პეტრეს სიტყვა მოძღვარმა – რისხვით:
„შენ ვერა წვდები უბედურო, ღვთაებრივ მიზანს,
შენ გსურს აღსრულდეს ნება კაცთა, და არა ღვთისა?..
განვედ სატანავ, ვერ მაცდურებ, თუმც ხარ – მაცდური...“
თუმც წუხდა პეტრე – მოძღვრის გამო, მაინც მას მდურვით
შეხედა ქრისტემ (თავს დებს ჩვენთვის. ღმერთმა სხვა რა ქნას?..)
ჩვენს ცოდვებს უნდა შეეწიროს იგი – ზვარაკად...

# ნაწილი მეორე

*„ვაი, იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა ძე კაცისა..."*

მათ. 26.24

*მაშინ ერთი იმ თორმეტთაგანი, იუდა ისკარიოტელად წოდებული, წავიდა მღვდელმთავრებთან, კითხა: „რას მომცემთ, რომ გადმოგცეთ იგი?" მიუწონეს მას ოცდაათი ვერცხლი. მას აქეთ ეძებდა მარჯვე შემთხვევას, რომ გაეცა იგი.*

მათ. 26, 14-16

*და, მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, და მასთან ერთად დიდძალი ხალხი მახვილებით და კეტებით – მღვდელმთავართაგან და ხალხის უხუცესთაგან. ხოლო მისმა გამცემმა მისცა მათ ნიშანი და უთხრა: „ვისაც მე ვეამბორები, ის არის იგი და შეიპყარით!" მყისვე მივიდა იესოსთან და უთხრა: „გაიხარე, რაბი! და ეამბორა.*

*ხოლო იესომ უთხრა მას: „რისთვის მოსულხარ, მეგობარო?" მაშინ მივიდნენ, ხელი სტაცეს იესოს და შეიპყრეს იგი".*

მათ. 26, 47-50

# ქება პირველი

*„მონა არ არის თავის ბატონზე უფრო დიდი...“*
იოანე, 13,16.

*„მე კი თქვენს შორის ვარ როგორც მომსახურე“.*
ლუკა, 22, 27.

* * *

პატარა ტაშტ'ში მაცხოვარმა დაასხა წყალი...
„ფეხები უნდა დაგბანოთო,“ – მიადგა – პეტრეს...
„უფალო ჩვენო, სულსა ჩემსა შენ შეგავედრებ,
ნუღარ იქმენინ საქმე ესე“, - თქვა პეტრემ კრძალვით.
თქვა მაცხოვარმან: „აღვასრულე მე ჩემი ვალი,
მოძღვარი თქვენი, მოწაფენო, აქ მე ვარ ვიდრე –
ხსნას სულთა თქვენთა, და განბანვას, ჩემ თავზე ვიდებ,
ვინც დღეს ფეხსა გბანთ, არ იქნება აქ თქვენთან ხვალ ის...
„თავის ბატონზე უფრო დიდი არ არის მონა...
მე ვარ მოძღვარი – თუმც გბანთ ფეხებს, რამ დაგაღონათ?..
კარგს იზამთ, თუ კი: ძმანო, ფეხებს, ერთმანეთს დაჰბანთ...“
ნეტარ არს იგი – თავი თვისი ვინც დაიმდაბლა...
თქვა მაცხოვარმან : „ხართ სუფთანი, თუმც ყველა – არა...“
ერთმა მოწაფემ, დარცხვენილმა, თავი დახარა...

* * *

რატომღაც „დანა პირს არ უხსნით", დუმილი რეკავს!..
მაცხოვარს ისევ: ავის მაცნედ – დარდი ეწვია...
ხოლო სივრცეში, შორს აქედან, ლურჯი ტყის წიაღ:
დაფნის გვირგვინი ილანდება – ქცეული ეკლად...
ეშმავ, წყეულო! – ნუთუ კაენს უნდა მოეკლა
აბელი, ძმაი, ლვიძლი მისი?! (ჰე, რა იციან –
რა დარდს მოუცავს მოძღვრის გული... ღმერთო, ო, ეხლა -
ერთი მათგანი ნადირივით დაიწყებს წრიალს...)
აჰ, ეს სერობა ჩვეულებრივს სულაც არა ჰგავს...
„თქვენს შორის ერთი მიღალატებს," - თქვა უფლის ძემან...
ერთი მოწაფე აწრიალდა, ისევ, თაგვივით...
ო, რა მწარეა მოციქულნო, მოძღვრის ქარაგმა!..
ელდანაკრავებს ერუანტელი ტანში დაგივლით...
გმართებთ ტირილი, და ხელების – აწ თავში ცემა...

* * *

ტრაპეზზე – პური, ცოტა თევზი, და თითო ყლუპი -
ღვინო. მწუხარედ დასცქერიან ცარიელ ტრაპეზს...
პურის ნამცეცი ჩიტებივით ძლივს გადაყლაპეს...
გლოვობენ ძმები, და ცრემლები – სდით ღაპაღუპით.
სად ჰყავთ მოძღვარი, სად ჰყავთ მამა, მათ დასაღუპი?
არა, არ გვანან შეშინებულ, მტირალა ღლაპებს,
მაგრამ გულები ავსებიათ – საავდრო ღრუბლით...
(ღვინო, სურაში ჩარჩენილი, სულ ამოხაპეს...)

„აჰ, გაუგია ყველაფერი, მე ერთსღა მიმხვრს..."
ფიქრობს იუდა, და იპოვის გაქცევის მიზეზს,
სუფრიდან ნელა წამოდგება, და გავა გარეთ...
„ჩვენს სიწმინდესთან წყეულს ახლოს არ გავაკარებთ", -
ფიქრობენ ძმები, შესცქერიან მდუმარედ – მოძღვარს,
მოძღვარს თვალთაგან მოციმციმე კურცხალი მოსწყდა...

* * *

*„ამ ლუკმის შემდეგ სატანა შევიდა მასში..."*

იოანე, 13,27

მე თითქოს ვხედავ, მორწმუნენო, ვხედავ თვალნათლივ:
მღილის ოდენად როგორ იქცა ეშმაკი, მავნე...
(კაცთა მტერია, მტერი კაცთა, ის – ოდითგანვე,
რყვენის დედამიწას – თუმც მას უფლის მზერა დაჰნათის...)
ეშმას შემოსვლას ვერ ამჩნევენ, ვერა! – აჰ, მათ ის –
მშვენივრად ხედავს... და, ეშმაკობს (სატანავ, განვედ!..)
დიახ, იუდა მან აცდუნა, წარწყმიდა მანვე!..
(მან დაამძიმა უფლის ჩვენის გზა და აღმართი...)
იუდას პირში შეუცოცდა წყეული ეშმა...
მოიკალათა მის გულ-ღვიძლში – ძალამ უხეშმა...
და სწორედ ამ დროს მიატოვა სუფრა – იუდამ...
ზურგი აქცია მოძმეთ მისთა, შერცხვა ციურთან...
„წადი იუდავ, დროზე წადი, არ მოცდე საქმეს..."
ამბობს მესია, და ღვთაებრივ სინათლეს აკმევს...

# ქება მეორე

## „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი"

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, თქვენ კი – ლერწმები,
დიდი უფალი, მამა-ღმერთი, არს – მევენახე...
ჩემდამი თქვენში სიყვარული თუ მე ვერ ვნახე –
ხმელ ლერწმებივით გასხვლებით, გაილეწებით...
უფრო მეტად იმას ვეღარ ჰპოვებთ, რასაც ეძებდით.
ლერწი – გასხლული, უნაყოფო, ხამს, დაჭკნეს, გახმეს,
ცეცხლში დაიწვას... ხამს, ერიდოთ ეშმაკის მახეს,
თორემ ვერ ჰპოვებს სასუფეველს თქვენგან ვერც ერთი.
თქვენ განა ჩემი მონები ხართ, ხართ – მეგობრები,
და თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი. ვინც მე გონებით
მიწამებს, იმას შევიყვარებ აქ და მარადის...
წარწყმედილია – ვისი სულიც ცაში არ არის...
თუ შეიყვარებთ თქვენ ჩემს მცნებებს, თქვენ უნდა ნახოთ –
როგორ მოისხამს სული თქვენი – ღვთაებრივ ნაყოფს–"

ლოცვა იესო ქრისტესი
გეთსიმანიის ბაღში

გამოწვდილია სიკვდილის თასი,
და თასი იგი, მე უნდა შევსვა...
ჰე, ორგულობა – მკლავს იუდასი,
და ხვედრი ესე, მიჩნს უმძიმესად...
გულს აღმოხდება – გლოვა და კვნესა,
გარს ანგელოსთა მეხვევა დასი...
უფალო ჩემო, შენს გვერდით დამსვი
და მიმაახლე ნათელსა შენსა...
დასტირის გული მოყვასის ღალატს...
გონება ფიქრით გადამეღალა...
ასე ვიქნები მე – სიკვდილამდე...
აჰ, ჩემს სისხლს დაღვრის ვინმე პილატე...
თუნდ იყოს კაცი – ორგული, უნდო,
გთხოვ მიუტევო, ცოდვა შეუნდო...
გამთენიისას ანგელოზი დაეშვა ციდან...
გამხნევდა მაშინ უფლის სული, დაღლილი ლოცვით,
მამ-ღმერთს მადლი შეჰღაღადა... ჰე, ანგელოზი -
უფალს ამხნევებს... (ცაზე ხომლი აენთო წითლად...)
„მოაქამამდე ეს მინდოდა, და სულ ის მინდა -
რომ შენ გეახლო...“ თქვა იესომ... (ჰე, იქვე რომ ზის
სულიწმინდაა, უფლის მაცნე, ო, სულიწმინდა...)
სულს უხარია, მხნე არს სული – ღვთაებრივ მოძღვრის!..
თქვა მან: „კეისარს - კეისრისა, უნდა მიაგოთ...

უფალს – უფლისა... ცხონდით რწმენით" (მას გვერდით ედგნენ
ერგულნი ძმანი: იოანე, პეტრე, იაკობ...)
უწყის უფალმან, რომ ავსულნი – მახვილს ლესავენ...
მლოცველმა ცოტა შეიცადა, მცირე ხნის შემდეგ -
კვლავ აღავლინა ლოცვა ცისკენ, უკვე მესამედ–
„გული ტკივილით მეკუმშება, ვარ მგლოვიარე,
და არ მშორდება არსთა მხედო, ასეთი განცდა...
შენდამი ლოცვით ცისქვეშეთი შემოვიარე,
ავი ძაღლივით თან დამსდევდა – სიფლიდე კაცთა...
შენდა მიიწევს სული ჩემი, ჰა, საზღვარს გასცდა...
მე ველარ ვწამლობ გულის ჩემის მწარე იარებს ;
ვარ დაკარგული კრავი შენი, შენ მომიარე–
ო, მწყალობელო, ჩემი გვემა – სანამდე გასტანს ?...
მე აღვასრულე ჩემი ვალი. მალე მიწიერ –
ცხოვრებას დავთმობ... მფარველობა შენ გამიწიე,
ვიდრე ცოცხალ ვარ, ტაძრის ჩემის იყავ მეოხი...
შენდა მივიწევ სახიერო, მამავ, მე – ოხვრით...
ვიცი: სულ მალე სანთელივით ცაში ვენთები..."
თქვა და, შუბლიდან ჩამოსცვივდა – სისხლის წვეთები...

* * *

გამოწვდილია სიკვდილის თასი...
და თასი იგი, სავსეა შხამით...
ჰე, თასი ესე, არს იუდასი,
თუ, საბოძვარი – ციური მამის?..

გადიფრენს ცაზე – ეშმაკთა დასი...
აწ სულიწმინდის, ძისა და მამის
მადლი გფენია, ქვეყანავ, ამინ...
(ღმერთო, ღმერთქმნილი, შენს გვერდით დასვი...)
სამსალით სავსე სიკვდილის თასო...
შენ გსურს შესწირო უფალს ზვარაკად -
ის, ვინც კრავია, და კაცს არა კლავს?..
აწ ის – ღმერთქმნილი, გამოცლის ამ თასს...
რათა გაგრძელდეს – დინება ჟამთა...
და ეშმაკისგან არ დაითარსოს...

* * *

ელოდა ეშმა სამისო საათს,
და ჩაუსახლდა იუდას სულში.
ეშმავ, მესიას ხელს ვერ შეუშლი,
ეს ცისქვეშეთი – მაცხოვრისაა...
თავისი დროის – დადგომას, მოსვლას,
სულგანაბული ელოდა ეშმა,
(და არ  უმტყუვნა ნადირის გეშმა)
ღმერთი – მაცხოვარს დიდებით მოსავს.
იუდავ! – გველო, ნუთუ ვერა გრძნობ,
კისერზე დიდი ცოდვა რომ გაწევს...
არ შეიწყალებს ღმერთი, ვერაგო,
მოყვასის მისის ორგულს და გამცემს...
შენი სახელი დასწყევლოს ღმერთმა,
და შეგაჩვენოს ეშმაკთან ერთად!..

* * *

–ხარობს იესო, ხალხის შეხარის, და მოჰგავს მთესვარს,
(იცის: მოიწევს თავის დროზე, ნანატრ მოსავალს–)
„კურთხეულ იყოს საქმე შენი, ღმერთო, ო ს ა ნ ნ ა !...
ხვალე გავხდებით უკეთესნი, ვიდრეღა დღეს ვართ–"
„ჰოი, დიდება სახიერო, სახელსა შენსა–
იხაროს კაცმან, გულით წრფელმან, და ღვთისმმოსავმან–
ღმერთო ჩვენ შენი სინათლისგან ჯერაც შორსა ვართ,
მაგრამ იმედით შემოგყურებთ, გენუკვით, გესავთ–"
ასე ამბობენ. შენ კი ყველას თავზე ევლები–
თუმცა შენს გზაზე ღვარძლს თესავენ ფარისევლები–
შენ ხედავ: ღმერთო: ისევ ებრძვის ბოროტი – კეთილს–
უფალო, დიდ არს საქმე შენი, და დიდ არს ღმერთი!–
შენ აღასრულებ საქმეს შენსას, მოიხდი შენს ვალს,
და სამოთხეში შენთან ერთად თავმდაბლად შევალთ–
„და სამოთხეში შენთან ერთად თავმდაბლად შევალთ–"
იხარე ღმერთო, ასე ამბობს, დღეს მრევლი შენი–
შენ ეუბნები: „შვილნო ჩემნო, ცხონდებით რწმენით;"
წარხდება რწმენა, თუ ტაძარმა დაიწყო რღვევა–
ცხონდების იგი, ვინც სიმართლეს არ გაექცევა,
ელით სამოთხე, სიმართლისთვის – წამებულთ, დევნილთ–
ხამს, სიწრფოებით გაატაროთ სიცოცხლის დღენი.
უწყის უფალმან თქვენი საქმე, და თქვენი ქცევა–
„ღმერთო, შენს მოსვლას მოველოდით, ჩვენ, ოდითგანვე–"
„მოვედინ, შუქო უქრობელო" („სატანავ, განვედ!–") –
ასე ამბობენ. გენუკვიან: „უფალი ხარო–"
სიხარულს მოჰგვრი სამწყსოს შენსას, თავადაც ხარობ.
ამკობს სატანა ცოდვილ მიწას – წყევლით და კრულვით–
ვერ აისრულებს უკეთური უკეთურ სურვილს.

* * *

ხარობენ მოძღვრით მოწაფენი, მაგრამ იუდა
თავს არ ანებებს მზაკვრულ ფიქრებს, ავად, ჯიუტად,
სახეს იბურავს პირფერობის უხილავ რიდით–
უფალმა შენსკენ ხიდი გასდო, შენ კი ის ხიდი
წყალს გაატანე?– ნუთუ სული გაგიტყიურდა–
სულს ნუ წარიწყმედ, უფალს ჩიტი ამბავს მიუტანს
და ცოდვას შენსას ვერასოდეს გამოისყიდი–
არ უჩერდება სული გვამში – ისკარიოტელს
გეთსიმანიის ბაღში ბნელა. ცისკარი ოდეს –
ფრთებს გაშლის ცაზე, - დასრულდება მათი სერობა–
მოძღვრავს მოძღვარი მოწაფეებს, და ხარ მათთანაც–
იუდავ!– ეშმაკს მიეყიდე– მაგრამ ვერ მოჰბანს
შენს ცოდვილ ხელებს – მაცხოვრის სისხლს – შენი სატანა..
ვერ აისრულებს უკეთური უკეთურ სურვილს,
მაგრამ ის მაინც ვერ ისვენებს, და ძვრება კანში–
სატანა – მოძღვრის მოწაფესთან ამყარებს კავშირს,
ოცდაათ ვერცხლად მოისყიდა მოწაფის სული–
(მოწაფე – ღვთისგან განდგომილი, ორგული, კრული,
ეამბორება მოძღვარს მკერდზე, ვით მორცხვი ბავშვი–
მსტოვრებს ანიშნებს: „ვისაც ეძებთ ამ უშქარ ხალხში,
ეს, ის არისო–“) ხარობს ეშმა, და ფერხულს უვლის–
მოწაფე იგი, ვინც ღალატობს უებრო მოძღვარს,
შეცბუნებული, მის წინაშე თავს რომ ხრის მორცხვად,
ეს იუდაა, მოძღვარს მისას თხასავით ჰყიდის–
მხარი აუბა ფარისეველთ, და სადუკეველთ–
(ღმერთს ღალატობენ, და ცრუ კერპებს გუნდრუკს უკმევენ)
წარწყმდეს ყოველი, ვისაც უფლის არა აქვს რიდი–
უფალო, მოყვასს არ ჰპატიობ მოყვასის ღალატს–
მაგრამ მოყვასი, მოღალატე, უბეში გიზის–
ვაი, ის შენი მოშურნეა, არ არის გიჟი,
აჰა, მკერდზედაც გეამბორა, თუმც სახეს მალავს–
ღმერთო ძლიერო, ძესა შენსა მოეცი ძალა,
შენ დააცადე აღსრულება დიადი მიზნის–
ღმერთო ძლიერო, არსთა მხედო, აკურთხენ ღირსნი,
მაგრამ ძეს შენსას ორგულთ დასჯას ნუ აუკრძალავ–
ჰოი, მაცხოვარ, აქ რა უნდათ პილატეს კაცებს?–
აჰ, აქვთ ბრძანება პილატესგან, მათ, შენი დასჯის–
ძრწოლვით შეიძრა გალილეა: „უფალი გასცეს–“

ყველანი სადღაც მიიმალნენ. მარტოკა დარჩი,
ჩურჩულებს მრევლი: „მოწყალეა, არ დასჯის მის მტრებს,
ეს არის ჩვენი მაცხოვარი, იესო ქრისტე–"
ჰოი, მიზეზი სიავისა, - მწარე შურია–
აი, უფალო, ბრბოს გონება რამ აურია–
უწყის იუდამ, საცოდავმა, რა ცოდვას იდებს?!–
იუდას სულში წარწყმედილი ეშმაკი ბუდობს–
ოცდაათ ვერცხლად გაიმეტებს ზეციურ მოძღვარს
ო, მოძღვრის სისხლით, წმინდა სისხლით, ის – მიწას მორწყავს
ჰოი, იუდავ სახით გონჯო, გონებით მრუდო–
ეშმაკის სახევ, წარწყმედილო, ეშმაკის კუდო–
„არა ჰკლა კაცი", – ბრძანა ღმერთმა, შენ კი იმეტებ
თავად ღმერთს, უფალს, ძეს უფლისას, ჰე, შენს იმედებს
ვერ გაამართლებს, საცოდავო, ბინძური ვერცხლი–
დაიშანთები ჯოჯოხეთში, ღველფით, ნაკვერცხლით–
რომ უდრტვინველად მიაღწიო – საიქიომდე –
მოყვასის შენის ტკივილები უნდა გტკიოდეს!–

* * *

სისხლს სვამ კაცისას– ო, შენი დრო კი,
ჩაგსაფრებია, ჰე, სულით ხისტო–
გამოიტანა იუდამ – თოკი,
და გამოაბა ის თოკი – ხის ტოტს–
და ჩამოიხრჩო იუდამ თავი,
გვიანღა მიხვდა ის საცოდავი
რომ მიჰყიდა ეშმაკს ტარტაროზს–
აწ ჯოჯოხეთის გზებით ატარობს
მან, ვის სურვილსაც ის ასრულებდა,
და მიწა ჭამოს – იქ ავსულებთან!–

* * *

ზის სიმონ-პეტრე ცეცხლის პირას... ჰე, ფიქრს ვინ გაცლის ?..
უცებ, დიაცი აუხირდა: „შენც მასთან იყავ..."
შეშინდა პეტრე, დიაცს უთხრა: „ბრიყვი ხარ, ბრიყვად –
დარჩები მუდამ, რომ გგონია, არ ვარ ის კაცი..."
გავიდა ხანი. პეტრეს ესმის: „ჰე, იქ რომ ზიხარ,
შენც იესოსთან არ იყავი?.. მსტოვრის სიმკაცრით –
შეშინებულმა, თქვა კლდე-პეტრემ: „იფიქრე დიდხანს,
ხომ არ გეშლები?.. ჰე, ვარ ალბათ მსგავსი ვიღაცის..."
სულ მოკლე ხანში, მესამემაც დაადო თითი...
თქვა: „კარგად მახსოვს, შენს თავს მაგის მოწაფედ თვლიდი..."
პეტრე კი ისევ უარზეა (მამალი ყივის...).
გამოჩნდა ქრისტე...წუხს კლდე-პეტრე (მოელის სასჯელს...)
და გაახსენდა მოძღვრის სიტყვა (ტირის ბალღივით):
„ვიდრე მამალი იყივლებდეს, უარმყოფ სამჯერ..."

# ქება მესამე

* * *

ბრბოს გადმოჰყურებს აივნიდან - პილატე. ჯალათს
მზაკვრული ფიქრი უტრიალებს გაყინულ თავში,
იცის ჯალათმა ბრბოს ბუნება, ბრბოს ნებას რთავს ის
გამოავლინოს სისასტიკე, უხეში ძალა...
პილატე ბრბოსთან შეკრულია, ხოლო ბრბოს თახსირს
ადამიანის მოკვდინებას ვინ აუკრძალავს?..
დატრიალდება დიდი ცოდვა – მილეთის ხალხში...
პილატეს ტუსაღს თაღლითობა ედება ბრალად.
„დილეგში ორი ტუსაღი ზის: ქრისტე, ბარაბა...
არც ერთის მიმართ სიძულვილი გულში არა მაქვს,
თქვენ გადაწყვიტეთ: ვინ დავსაჯო, მითხარით მოკლედ..."
ამბობს პილატე. ბრბო კი ყვირის: „ბარაბა მოგვეც!.."
„ჯვარს აცვ იესო!.." (თქვა პილატემ: „მე ვიბან ხელებს...")
ბრბო აღრიალდა... მხეცს ხომ მუდამ სისხლი ახელებს...
ო, უკეთურნო, უფლის ჩვენის ტანჯვით ერთობით?..
იესოს გვერდით სისხლისმსმელი ავაზაკი ზის...
ყაჩაღის გვერდით იტანჯება – სული ფაქიზი...
ჯვარზე აცვამენ ერთ-ერთ მათგანს, მაგრამ, ღმერთო, ვის?..
იესომ უნდა გამოსცალოს სულ წვეთ-წვეთობით –
შხამის ფიალა... თქვენ კი, ბრბონო, ჰე, ხელს რა გიშლით –
ღმერთი დილეგში დაამწყვდიოთ, მოკლათ, და გიჟი –
ბარაბა გარეთ გამოუშვათ (თქვენ მას ენდობით...).
„მოგვეც ბარაბა!.." იძახიან - უგნურნი ბრბონი...

„ჯვარს აცვით ქრისტე!..“ ისმის ხმები სულმდაბალ ბრბოთა...
ცის სარკეს ბზარავს უგუნურთა : ყიჟინა, შფოთვა...
ცდილობენ მიზანს მიაღწიონ ყოველი ღონით...
ისმის: „ბარაბა გამოუშვით, მოჰკალით – ქრისტე!..”
დაფიქრდით მაინც, უკეთურნო, რა ცოდვას იდებთ...
პილატემ ხელი გაიშვირა, თქვა: „აი, კაცი...”
გამოჩნდა ქრისტე! – თითქოს უცებ ამაღლდა ზღურბლი...
დგას ძე უფლისა, შემოსილი ღვთიური ღრუბლით,
(შარავანდედით შემოსილი!)... და მოჰგავს კრავს – ცის...
ეშმაკს, წარწყმედილს, არ აჰყვება, თუნდ ჯვარზეც აცვით...
ნახეთ: მიუგავს ტაძრის გუმბათს, ნათელი შუბლი!..
თქვენ, მოქანცულნო ერთმანეთთან ჯიბრით და შუღლით!
გიჯობთ: დროულად მოაშოროთ თქვენს გულებს – ქაცვი...
თუმც თქვენებრ ხორცით შემოსილა, და დგას თქვენს შორის,
ვერას დააკლებს ჯოჯოხეთის სიმყრალე შმორის...
(აკურთხენ გზანი ძისა შენის, უფალო დიდო!..)
წარწყმდი სატანავ!... კაცს – კაცთაგანს შენ აღარ ინდობ!
ჰა, აი, კაცი!.. ძე – უფლისა, და თავად ღმერთი!
იგი გზა არის ჭეშმარიტი, ხსნა არის ჩვენთვის...

# ქება მეოთხე

* * *

უფალს გახადეს გრძელი ქიტონი...
უფალს ჩააცვეს გიჟის ხალათი!..
გული უკვდება – მოძმის ღალატით...
ჰა, ჯვარი... უნდათ მას აჰკიდონ ის?!.
ნეტავ სინდისი რამდენს იწონის?
რამდენს იწონის გული ჯალათის?
ჯალათნო, იქნებ: ხართ უბიწონი?
მაგ თქვენს მყრალ სულებს სადღა მალავდით?..
ჰე, გზას კაცებრივს, თქვენ უღალატეთ,
თქვენც ჩაგაცმევენ გიჟის ხალათებს,
თქვენც მოგნათლავენ მალე – გიჟებად...
თქვენ – მყრალი სული გაგეთიშებათ...
იგი ბრძენია, თქვენ ხართ – გიჟები,
თქვენ სჯით მაცხოვარს? – თქვენც დაისჯებით!..
მადლი ჰფენია მის გზას, მის საქმეს!
ქედდადრეკილი – დიდი მესია
მიათრევს ხის ჯვარს, და პროცესია
მიემართება გოლგოთისაკენ...
შენ გსურს ჩაჰქოლონ, ეშმავ, ის აქვე...
ეშმაკეულნი – ტალახს ესვრიან...
ხალხი – გოლგოთის – მთას შეესია...
ვინც თაყვანს სცემდა, ახლაც – ის აქებს...
ბოღმა გულებში ვერ ჩაგვეტია...
დატრიალდება აქ ტრაგედია

(დასცქერის ღმერთი ეშმაკის თეატრს!..)

რა სიმაღლეა! რა სინათლეა!

შენ დაიფარე შენი მოკეთე,

ღმერთო გვიშველე, ღმერთო მოგვხედე!..

*ო, ცისქვეშეთო, ცოდვით სავსევ, სნეულო მიწავ!–*
*ჰოი, შენს ცივ მკერდს, ღვარძლს და ბალღამს რა ხელი მოჰბანს?–*
*წარხდება შენი დრკუდ ტრიალი, და უფლის გმობა–*
*ღმერთი შენს მხსნელად მოვლენილი, შენ ველარ იცან–*
*ვინ უფალს ჰმონებს, ვინ ბელზებელს, ვინ მიწას, ვინ ცას*
*(იმედის თვალით შეჰყურებენ მოკვდავნი მყოფადს..)*
*თუ წრფელ გზით ვივლით, დედამიწა არ დაემხობა,*
*უფლის მიმდევართ, ღვთის მოშიშართ, უფალი იცავს–*
*მაგრამ თუ უფალს განვარისხებთ, უფალი ისევ*
*დაგვსჯის ვით უწინ, სულ ერთ წამში მოგვიღრეცს კისერს,*
*წყალში ჩაგვახრჩობს, სულს ამოგვხდის, შეგვინთებს კოცონს–*
*უფალი იმას გადაარჩენს, ვინც უყვარს, მოსწონს;*
*ხეს ძირში ჭრიან, ოდეს იგი – ცუდ ნაყოფს ისხამს–*
*რასაც დღეს სცოდავთ, წაგმწარდებათ, ავსულნო, ის ხვალ–*
*რასაც დღეს სცოდავთ, წაგმწარდებათ, ავსულნო, ის ხვალ–*
*ვინ ხორციელი გაექცევა ღვთიურ განაჩენს?–*
*კეთილს და ბოროტს, მრუდს და მართალს, ღმერთი განარჩევს,*
*და თავის დროზე აგვიწონის სულ მისხალ-მისხალ.*
*აჰ, უკეთურნო, სულს წარიწყმედთ, არ გესმით ღვთის ხმა,*
*ღმერთს განუდგებით, ეშმას ჰმონებთ, მაგრამ დანარჩენთ*
*რა წილი უდევთ თქვენს ცოდვებში? ავნო, განა ჩვენც*
*უნდა წარგვწყმიდოს, თქვენთან ერთად, ღვთიურმა რისხვამ?–*
*უფალმა ჩვენმა, ერთხელ უკვე დაგვსაჯა წარღვნით–*
*არ აპატია ღმერთმა ცოდვა გომორს და სოდომს–*
*რატომ არ გინდათ თქვენი თავი რომ შეიცოდოთ?!–*
*ჰოი, რადა ხართ, უგნურებო, ასეთი ლაღნი?!.*
*(რა ელოდება ჯოჯოხეთში, რა იცის ბრიყვმა..)*
*ა ქ  ვინცა სცოდავს, როგორ ზიდოს ცოდვები ი ქ  მან?*
*ა ქ  ვინცა სცოდავს, როგორ ზიდოს ცოდვები ი ქ  მან?*
*შენ მოევლინე ცდომილ სულებს, მხსენლად, მესიად–*
*მაგრამ ცოდვილნი, უკეთურნი, ტალახს გესვრიან–*
*„არ უწყიან უმეცართა, რასაცა იქმან–"*
*შენს წმინდა გზაზე, სახიერო, ელენან ცოტანი–*

ჩვენს სულებს ეშმა ისე არხევს, ვით ქარი ლერწამს–
(შენ შვებად ჩვენდა – კერპებს ამსხვრევ, ბომონებს ლეწავ–)
ქარი წაიღებს, ეშმაკის ძირს, – ქარის მოტანილს–
ღვთისგან განდგომილთ, ეშმაკეულთ, და იუდეველთ,
ცოდვანი მათნი, არსთა მხედო, შენ მიუტევე–
ცას აზანზარებს ბრბოს ბღავილი, მათი ყიჟინა–
„ცოდვათა ჩვენთა მიტევება რომ დაიჟინა,
ბარემ ეს ცოდვაც მიგვიტევოს, თუ არის ღმერთი–”
მასთან არს : რწმენა, სიყვარული, მხურვალე ლოცვა–
აღარსად ჩანან მოწაფენი. წამებულ მოძღვარს,
ჟამსა სატანის ზეობისა, - არ შერჩა ერთიც–
„ჟამსა სატანის ზეობისა, არ შერჩა ერთიც–“
ასე იტყვიან თაობები, ხოლო ახლა კი.
შენს წინ მუხლს იყრის გალილეის ყველა გლახაკი
(უფალო, მათთვის ჯვარს ეცმევი, აღსდგები მკვდრეთით–)
ლოცვანი შენნი, ღმობიერნი, ცის წიაღს ერთვის–
წელს, ოცდაცამეტს, ძლივსღა აღწევს შენი ასაკი–
შენს შემდგომ, ღმერთო, წრფელნი გულით, შენებრ გასაკვირ
საქმეებს იქმან, და სიცოცხლეს დასთმობენ შენთვის–
იხარე ღმერთო, განაბრწყინე წიაღი მამის–
დაე, აწამონ ავსულებმა სხეული – გვამი–
სიკვდილს დათრგუნავ, ძევ ღვთისაო, აწ სიკვდილითვე–
კე, ცოდვილ სულთა დასახსნელად, წვალებას ითმენ–
ცა გვიხმობს ყველას (შენ უწყ ღმერთო, იქ ვის რა ელის),
შენს ამაღლებას ელოდება ცა – ისრაელის–
. . . ღმერთი დილეგში დაამწყვდიეს, გონებით ბრმებმა –
ვერ დაინახეს მოარული, ღვთიური შუქი–
წუხს ღმერთი კაცთა უმეცრებას, და ტანჯულს, უკვირს –
ვით მოახერხა ეშმამ მათი – უღელში შებმა–
მალე ღვთის სხეულს, წმინდა სული – გაეთიშება–
ეშმას წარწყმედა ამ ხალხისა, არაფრად უღირს–
(მარადი ტანჯვა ელოდება – წარწყმედილს, უღირსსს,
ვინც აღასრულებს, ვინც თაყვანს სცემს, ეშმაკის ნებას).
დიდი მეუფე ამოძირკვავს ეშმაკის ჯილაგს–
და კაცს – მოყვასის სასიკეთოდ ვინც არ გარჯილა, -
დასჯის უფალი, დაისჯება კაენის გენი–
ვერ მოკლავთ უფალს, - გვამის მისის ტანჯვით და გვემით–
ქვაბი თუხთუხებს ჯოჯოხეთში, ცოდვილნო, თქვენთვის!–
ცად აღამაღლებს ტყვექმნილს თქვენგან, მაღალი ღმერთი.

ად ადამაღლებს ტყვექმნილს თქვენგან, მაღალი ღმერთი,
თქვენ კი – იუდას მიმდევრებო, გონებით ბრმანო,
ᲣᲤᲐᲚᲡ იმეტებთ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝᲓ, აღარც კი ნანობთ
საქციელს თქვენსას, დამხობილხართ ეშმაკის ფერხთით.
რას ეტყვით დიდ ღმერთს, თქვენს შემოქმედს, აჰ, რაღა გეთქმით,
როცა ძეს ღვთისას, ჩვენს მაცხოვარს, ჩვენს სათაყვანოს,
გინდათ სიცოცხლე მოუსწრაფოთ, ღვთის სიტყვას ავნოთ,
(ღმერთს – განკაცებულს, ელოდება აღდგომა მკვდრეთით...)
გინდათ ჯვარს აცვათ ძე უფლისა, თქვენს უფალს ვერ ცნობთ
გონებით ბრმანო, სულით მწირნო, ბუნებით მხეცნო,
რქვა მაცხოვარმან: „არა კაც ჰკლა“, თქვენ კი კლავთ თვით ღმერთს. . .
სირცხვილნეს თქვენსას, თქვენს სიფლიდეს, უფალი ითმენს...
ეშმაკეულნო, ცრუნო, ნუთუ, გესახელებათ, -
ძელს, ძე უფლისა მიალურსმნონ თქვენმა ხელებმა?!...
ძელს, ძე უფლისა მიალურსმნონ თქვენმა ხელებმა –
გინდათ, რადგან თქვენ სხვა ღმერთს ჰმონებთ, ღმერთს – სიავისას...
ძელზე ძეს ღვთისას მიალურსმნავთ, შემდგომ ამისა –
ალბათ ხალისით დაუდგებით ეშმაკს – მცველებად...
სულს, - ხორცის, გვამის, დატოვება არ ეძნელება...
(წმინდა ნათელო, სულიწმინდის, ძის და მამისა...)
ილოცავს ღმერთი – ძე უფლისა: „ღმერთო, დამიცავ...“
წამების წამი უსაშველოდ გაიწელება...
და მოვა დილა. ეკალ-ძეძვი ქუჩაში ყრია,
ეკლების გვირგვინს დაგადგამენ, ხოლო ბრბო ღრიალს
დაიწყებს, რადგან, თვალი მოსჭრა, ბრბოს – ღვთის ნათელმა...
ბრბოს უნდა უფლის დამონება, ფეხქვეშ გათელვა...
რადგან: ის ბრბოა. შენ არ უყრი მარგალიტს – ძაღლებს...
ბრბო – ბინძურია, შენს სიწმინდეს ხელს ველარ ახლებს...
ბრბო – ბინძურია, შენს სიწმინდეს ხელს ველარ ახლებს...
ბრბოს უნდა შენი ძელზე გასმა. მიაღწევს მიზანს...
გვამს დასჯის შენსას, - ეშმამ კუდი, თუ აიმრიზა,
მაგრამ რას უზამს ნათელ თვალებს, დაღვრემილ სახლებს...
ო, დრკუდ მავალნო, უკეთურნო, ვერ მიეახლეთ
ზეციურ ნათელს... ხოლო ჩვენ კი ვერაფერ გვიზამს
თქვენი სატანა, ღმერთს ვენუკვით, მივყვებით მის გზას,
გვაპურებს ღმერთი მწყალობელი, ვით მშიერ ბალღებს...
შენს საწამებლად, მაცხოვარო, გათალეს ძელი...
შენ ამა სოფლად, ცრუთა შორის, ველარ გასძელი,
ნახე: ვით მძლავრობს ხმელთა ზედა, კაენის ჯიში.

*მძლავრობს ბოროტი, ხმას ვერ იღებს კეთილი – შიშით–*
*ჰე, მაცხოვარო, შენ ჩვენს ცოდვებს მიითვლი, მაგრამ,*
*ჩვენ რა ვქნათ, როცა: ჩვენს სამზეოს, წყვდიადი აკრავს.*
*ჩვენ რა ვქნათ, როცა: ჩვენს სამზეოს, წყვდიადი აკრავს,*
*ჩვენ – განთიადის მოლოდინში, ღამეებს ვათევთ,*
*მაგრამ არ ვიცით სად გავექცეთ ეშმაკის თათებს,*
*გვასწავლე როგორ გადავურჩეთ ამ ვერაგს, ამ მყრალს–*
*ო, სულწარწყმედილს, ამ მიწიდან, სურს ჩვენი აყრა–*
*ვენუკვით შენს შუქს, ჩვენს გულებში, ის იმედს ჰბადებს,*
*მაგრამ ეშმაკი, მისი ხელით მოქსოვილ ბადეს –*
*გვესვრის– (უფალო, კაცის გული წუხილმა დახრა–)*
*განა კაცი – კაცს, მაცხოვარო, სიტყვით არ აბამს?–*
*შენ კაცთა გულებს სიტყვით ჰკურნავ, მაგრამ ბარაბას –*
*მიჰყვება ზოვი, მისებრ ცოდვილს, მისი გზით მავალს.–*
*გონარეული, ბრბო შენს სახელს შეჰბღავის ავად–*
*ბრბომ „დაბალ ღობედ" მიგიჩნია (გაკადრეს ესეც–)*
*სხეული გვემით დაგილურჯდა, სისხლი სდით მყესებს–*
*სხეული გვემით დაგილურჯდა, სისხლი სდით მყესებს–*
*ჰოი, გესვრიან, მაცხოვარო, ტალახის გუნდას–*
*აჰა, ქვებს დასწვდნენ, ავსულთ შენი ჩაქოლვაც უნდათ–*
*(ვინ წარწყმედილმა მოიგონა წამება ესე?!)*
*ამ ცოდვილ ხალხში, ამ ცივ ბრბოში, რაც თესლი თესე –*
*სულ ძირმაგარად აღმოცენდა. გდის სისხლის რუ და,*
*ფიქრობ უფალო: „კაცს გონება რამ გაუმრუდა?–"*
*(სულ მალე, „ღმერთი ჯვარს ვაცვითო," – იტყვიან შენზე–)*
*შუბლზე გადგამენ, წამებულო, ეკლიან გვირგვინს–*
*ამბობენ მოგენი: „დიდსულობა, მოძლვრისა, გვიკვირს,*
*თუმც სულ ერთია, ვერ გაუძლებს, ტანჯვას, ის ამდენს–"*
*ეშმაკს ჰმონებენ უკეთური ადამის ძენი–*
*ღმერთო ტანჯულო, წმინდა იყავნ სახელი შენი,*
*აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე–*
ზურგზე აჰკიდეს ღმერთს ჯვარი მძიმე,
უნდა ათრიოს გოლგოთის გზაზე–
ვინ გაუძლებდა წვალებას ასეთს?–
მაგრამ უფალი არ კარგავს იმედს...
აჰ, სისხლს ვინ მოჰბანს, ვინ გაუღიმებს?..
მწყურვალს წყლის ნაცვლად ძირმწარე ასვეს...

[illegible] სიავე მასვე
ვისაც სული აქვს - ბნელი, ვით მღვიმე...)
მტვერში რომ ცურავს, ხაშმში – რომ ქოთავს,
წამების გზაა... ეს არს – გ ო ლ გ ო თ ა!..
იქ დასრულდება წამება უ ფ ლ ი ს...
ხარობს ეშმაკი, და ფერხულს უვლის...
ჰოი, რა იცის რეგვენმა ხალხმა –
თუ ვინ მიარღვევს – გოლგოთის აღმართს...
ჰოი, გოლგოთა!.. „ადგილი თხემის!...”
გმართებთ ტირილი, და გმართებთ გლოვა!..
ჰე, აქ დაჰყავდა ჩვენს ადამს თხები,
ბოლოს საფლავიც მან აქვე ჰპოვა.
სისხლის მსმელებო, მე გეკითხებით:
როცა იესო მეორედ მოვა,
მაშინ რას იზამს ეგ თქვენი ხროვა,
რომელმაც უფალს ესროლა ქვები...
ხროვა, რომელმაც ჯვარს აცვა ღმერთი...
ნუთუ გეგონათ: სულს აგვიმღვრევდით?..
ჩვენ მტკიცედ ვდგავართ, ჩვენ ვდგავართ მტკიცედ!
გიჯობთ: ხელები აწ თავში იცეთ!..
აღარ გექნებათ თქვენ გამართლება,
თქვენ დაემხობით, ის – ამაღლდება!..
თქვენ ხარობთ უფლის ტანჯვით და ცემით?
ჰე, რას მიაღწევთ – სინათლის დასჯით?..
თქვენ – ჯოჯოხეთის წიაღში დარჩით...
თქვენ – ღვთის სამსჯავროს გადაეცემით...
ღმერთი, მესია, უფალი ჩემი,
მარტოდმავალი – ავდარში, დარში,

სიკეთეს თესდა – ღვთისადმი რწმენით...
ჰე, ღვთიურ ტაძარს თქვენ ვეღარ დაშლით...
მაცხოვრის სული წმინდად, უვნებლად,
გადარჩა, თუმცა, მისი ცდუნება
ავმა სატანამ მრავალჯერ სცადა...
ცას უერთდება – სინათლე ცათა!..
თავზე დაჰხარის მას უფლის მტრედი...
ჯვარს აცმევთ, მაგრამ აღსდგება მკვდრეთით!..
უნდა განბანოს თავისი სისხლით
უსამართლობის ძირი და ბუდე...
ჩვენს ყველა ცოდვას ის გამოიხსნის...
ქვეყანა – ძაღლის კუდივით მრუდე –
სურს გაამრთელოს... და სისხლსაც ღვრის ის,
ეშმაკს, სატანას, რაც გულში უდევს
არ აღსრულდება, დაე, მას ვძულდეთ–
ჩვენ – სასუფევლის გავხდებით ღირსნი!..
ის იტანჯება როგორც იობი,
რათა ცოდვილი კაცობრიობის
ცოდვანი – ტანჯვით გამოისყიდოს.
შენ შეეწიე მსაჯულო დიდო!..
თაყვანი ეცით, მას – წმინდა მრევლნო,
უფალი ჩვენთვის – ეწამა, ევნო...
გადაუტეხეს მაცხოვარს წვივი...
და მიაჭედეს ხელები ფიცარს...
„უფალო ჩვენო, შენს სახელს ვფიცავთ..."
ქვითინებს მრევლი, და ქარი წივის...
აქვს ჯალათს გული – ქვასავით ცივი...

სისხლის წვეთებმა დანამეს მიწა...
მან ხალხს – ზვარაკად სიცოცხლე მისცა,
არ უკვნესია მას – დიაცივით...
სიკეთისათვის დასაჯეს მტრებმა,
ადამიანის, ღვთისნიერ მრევლის –
სურთ საეშმაკო უღელში შებმა...
იმათ საქმეებს ღმერთი დასწყევლის!..
ის ვინც ჩვენს გამო – ეწამა, ევნო,
გვეიყვარდეს მარად, ვადიდოთ მრევლნო...
ო, უკეთური ადამის ძენი
ღმერთს ორგულობენ, კაცის სისხლს სვამენ...
შენ დაგვიფარე, უფალო, ამენ!...
ბოროტებისგან შენ დაგვიხსენი.
შენ ხარ დიადო, მფარველი ჩვენი,
საწუთროს ჩვენსას ნუ დაალამებ...
ვენუკვით შენს შუქს, გვიშველე რამე...
შენ ამოძირკვე ეშმაკის ხსენი.
ფარვიდე მარად მარჯვენით შენით
სიმართლისათვის წამებულთ, დევნილთ...
ღმერთო, ნუ გსურინ: ცრემლები ვღვაროთ.
მართლმორწმუნენო, აწ ჯვარი გვიხსნის,
გაბრწყინებული მაცხოვრის სისხლით...
გვიხსენ წმინდაო, წმინდაო ჯვარო...

* * *

ო, რა ქარია, ჯოჯოხეთის — გრიგალი ქრის დღეს...
გოლგოთის აღმართს მიუყვება — იესო ქრისტე!..
ვის შეუძლია წამებულის - ნუგეში, დაცვა?..
იესო ქრისტე, გოლგოთაზე ჯვარს უნდა აცვან..
ჯალათნო, ტანჯვა არ ეყოფა? ტანჯავთ, აჰ, კიდევ?
წამებულ უფალს საკუთარი ჯვარი აჰკიდეს...
ბოროტი ხალხი ახვევია მაცხოვარს ირგვლივ...
შუბლზე ადგამენ წამებულის ეკლიან გვირგვინს!..
გააკრეს ჯვარზე.. ვინ უშველის, უფალო, აწ, მას?..
სად გაგონილა, ღმერთის, უფლის, წამება, ჯვარცმა?..
აჰა, აღსრულდა!.. სამსჭვალავი სხეულს მიესო...
შენ განგვანათლე, შენ გვაცხოვნე, ღმერთო, იესო!..
ცოდვანი ჩვენნი მოგვიტევენ, მსაჯულო, ოდეს —
შენი მართალი სამართალი ჩვენს ზედა ქროდეს . . .

* * *

ჯვარზე გაჰკრავთ ეშმაკებს მთვარე,
ცის სულს – შუბლიდან სისხლი მოწვეთავს...
მთვარის ჯალათი ვერ გაიხარებს,
ელის წარწყმედა, და ამოწყვეტა...
არავინ არის ფანჯრის მოწმე და,
დუმს დედამიწის ოთხივე მხარე...
ანგელოზებმა ცრემლები ღვარეს...
რას შველის ჯვარცმულს – სისხლის მოწმენდა...
შემოხვევიან მთვარეს გველები...
ჰოი, მთვარევ, შემოგევლებით...
ღმერთო მოგვხედე, ღმერთო გვიშველე...
დღე დაუღამე ჩვენს გამთიშველებს...
დასწვავს ჯოჯოხეთს წყევლით და კრულვით
მთვარე კეთილი, ჯვარზე გაკრული...

*აქ ავტორი საკუთარ თავს უფლებას აძლევს ამგვარად*
*წარმოადგინოს გოდება მარიამ მაგდალელისა*

*„ვერ მისაწვდომო, მახლობელო, ციურო საქმროვ,*
*ცეცხლი წვავს ჩემს გულს, ცრემლის ტალღა – მას*
*ვეღარ აქრობს–*
*მიყვარხარ ჩემო სიყვარულო, ცოცხალიც, მკვდარიც–*
*ისევ შენთან ვარ, მაგრამ ეს დღე – გლოვის დღე არის!–*
*ნუთუ მალამოდ არ მიგივა ჩემი ცრემლები?–*
*შენს ყველა ტკივილს, შენს ჭრილობებს, შემოვევლები–*
*ვეღარ ვაკავებ ცრემლის ტალღას, ო, განა ხე ვარ–.*
*უფალო, ცაში ხომ მიმიღებ შენს საწყალ მხევალს?–*
*ჩემს დამშვიდებას, სულზე ტკბილო, რისთვის ცდილობენ–*
*როგორ შევხედო დამშვიდებით, მე ამ ჭრილობებს?–*
*ჰა, ხელი ლურსმნით გახვრეტილი, ჰა, წმინდა შუბლი –*
*ეკლის გვირგვინით დაღარული, წამებულ უფლის–*
*არარაი არს შენთვის თმობა – სხეულის, ხორცის–*
*იქ, მამა-ღმერთი გადაგვიხდის – ზეციურ ქორწილს–“*

* * *

ო, რად წარიწყმიდეთ მაგ ბნელ სულებს, ჯალათნო, ო, რად?!.
ჯვარს აცმევთ უფალს, ცივი გულით (იქნებ შვებითაც...)
უცებ: შეიძრა დედამიწა, უცებ: შებინდდა...
ხოლო ტაძარში: კრეტსაბმელი – გაიპო ორად...
სატანის თათი დედამიწამ ვერ მოიშორა?..
უცებ: ატირდნენ მლოცველები ვით ბავშვები და,

მიცვალებულნი გამოვიდნენ საფლავებიდან...
უცებ: მზის გულზე ამოხეთქა – საფლავის შმორმა...
მიცვალებულნი, გარდასულნი, მიხრწნილნი გვამნი,
საფლავებიდან გამოვიდნენ სწორედ იმ ღამით...
იხილა ხალხმა სასწაული – მკვდრების აღდგომა...
ავმა სატანამ, დრო და ჯანი რაც მოანდომა
მიწის წაბილწვას, - ამაოა! – აჰა, ცხედრებიც!..
ჩვენს უფალს, ჯვარცმულს, მუხლს უყრიან ლოცვა-ვედრებით!..

## გაცოცხლდნენ მკვდრები
## და ამოვიდნენ საფლავებიდან

*„და ქვეყანა შეიძრა, და კლდენი განსქდეს, და საფლავნი აღეხჩნეს და მრავალნი გვამნი შესვენებულთა წმინდათანი აღდგეს, და გამოვიდეს საფლავით მათით და გამოცხადნეს მრავალთა“*

მათ. 27. 51-53

*თუმც ეს ამბავი – წააგავს იგავს:*
*ამოისუნთქეს მკვდრებმა შვებითა...*
*გაცოცხლდნენ მკვდრები მიწასა შიგან,*
*და გამოვიდნენ საფლავებიდან...*
*მოგივიდოდათ ოდესმე ფიქრად?:*
*არ დარჩენია სადმე ძვლები და –*
*მკვდარი (უფალმა ვით დაარიგა) –*
*აქ ჩონჩხს საკუთარს რომ მოსძებნიდა?!*

ხორცს შეისხამდა ფრთხილად, სათუთად.
და დასტოვებდა საფლავს საკუთარს,
განიმქრეოდა სამარის ზღურბლი–
გაცოცხლდებოდა უცებ, მკვდარი და,
ამოვიდოდა ბნელ სამარიდან–
საკვირველია ზრახვანი უფლის–

* * *

„განიყვეს სამოსელი ჩემი, და კვართსა
ზედა იყარეს წილი...“

განიყვეს უფლის სამოსელი, და კვართსა ზედა,
და კვართსა ზედა, უსირცხვილოდ იყარეს წილი–
ო, ღმერთო, ნუთუ, ცისქვეშეთში, გულმშვიდად ივლის,
ის, ვინც წაჰგვარა სამოსელი ზეციურ მხედარს?–
ღმერთო დიადო, არსთა მხედო, შენ თავად ხედავ,
რომ ძესა შენსა, ავსულებმა დასწამეს ცილი–
ჯვარზე გააკრეს, მოაკვდინეს ღვთივდალოცვილი,
წაჰგვარეს ყველა სიწმინდენი წამებულ ცხედარს–
რად არ ფიქრობენ ცოდვილები, „ცოდვილნი ვართო?–“
ო, კურთხეულო, სანატრელო, მაცხოვრის კვართო–
გადაეფარე ტანჯულ სულებს, როგორც– სუდარა–
ხარობს ეშმაკი, ავსულს მეტი არა უნდა რა–
ჯვარს აცვეს ღმერთი, ჯვარცმულ უფალს, გაქურდვაც ჰკადრეს–
მოეკითხება ცოდვა – ცოდვილს, გვიან თუ ადრე–

* * *

„... და აჰა, ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა აქუნდა მშვილდი...
და გამოვიდა სხუაი ცხენი წითელი, და მჯდომარესა მას ზედა... მიეცა მახვილი დიდი...
...და აჰა, ცხენი შავი, და მჯდომარეხა მას ზედა აქუნდა ხელთა მისთა უღელი...
...და აჰა, ცხენი მწვანე, და მჯდომარესა მასზედა სახელი მისი სიკუდილი...

გამოცხადება იოანესი („აპოკალიფსი“)

ჰე, თქვენს ცოდვებს ღმერთი ცაში განიკითხავს–
ჯოჯოხეთი თუნდ გეჩვენოთ სამოთხედაც, –
ბნელ ხაროდან ცას ვერასდროს ამოხედავთ–
სიავენი არ შეგრჩებათ, ავნო, დიდხანს–
მაგ თავებზე ჯოჯოხეთის კუპრს ხომ ისხამთ,
მალე ღამედ შეგეცვლებათ, ბრმანო, დღე და –
თქვენ – წარწყმდებით (სად წაუხვალთ ამ
ოთხ მხედარს?–

უკვე ისმის ცხენთა მათთა ფლოქვების ხმა...)
ნუ გგონიათ, ღვთიურ სასჯელს გადაურჩით!
ზეცის ცეცხლი, რისხვის ცეცხლი, დასწვავთ — ურჩებს!
უკეთურნო, თქვენ უფლისგან ხსნას ნუ ელით...
მოვალს იგი. შეჩერდება სრბოლა ჟამთა.
თქვენს გასაგისს — ცხელი შანთით ამოშანთავს —
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველო...

* * *

ღვთისმშობელს ცრემლი უსველებს ლაწვებს,
ტირის მარიამ: „ო, იქნებ, გძინავს?
მკვდრებს აცოცხლებდი საფლავთა შინა,
აწ სამარეში შენ უნდა ჩაწვე?
ხალხს ემსახურობდი, ჯვარს მაინც გაცვეს.
სატანის ძალამ ვერ შეგაშინა".
ო, ჯოჯოხეთში ცეცხლი რომ ქშინავს —
შთანთქავს წარწყმედილთ, ვით გამხმარ ნაძვებს.
ცრემლი უსველებს ლაწვებს — ღვთისმშობელს.
სწორედ ის მოხდა, რასაც შიშობდნენ —
მოყვასის სული — დასძლია გვამმა.
ძეს ელოდება წიალი მამის,
ის — უვნებელი სულით და „გვამით";
დაუბრუნდება ზეციურ მამას.

* * *

დგახარ გულდაკოდილი,
ღვთისმშობელო მარიამ.
ახლა შენ გაბარია
სული ყველა ცოდვილის.
ისევ შენთან არიან
შენი წმინდა დობილნი,
შენთან ფიქრგანდობილი,
შენი შვილი მკვდარია.
გიხმობს შვილის სამარე.
კალთა გადააფარე
ღვთისმშობელო დედაო.
სასწაული მოგველის,
იტყვი, უფლის მშობელი:
ჩემს შვილს ცოცხალს ვხედავო..

* * *

არ შეეშვება ბრბო ავად ღრიალს–
ტირის მარიამ, და ტირის მართა–
„მოკვდა მაცხოვარ, რა დაგვემართა–"
მგლოვიარენი – თავს დაბლა ხრიან.
ირგვლივ დამჭკნარი ფოთლები ყრია,
ისმის ზუზუნი უდაბნოს ქართა.
დევს შავი ლოდი სამარის კართან,
ხოლო სამარე – ღიაა, ღია–
სამარის პირას დევს შავი ლოდი,
ხოლო ლოდთან კი – აღმდგარი მკვდრეთით,
დგას მაცხოვარი – უფალი ღმერთი–
ამბობს: „მოყვასნო, თქვენ მოგელოდით –
ფიქრობდით ალბათ, მოძღვარს ძლიესო,
მაგრამ ფეხზე დგას თქვენი იესო–"
მაცხოვრის ჩვენის მკვდრეთით აღდგომა
ცას შეჰღაღადეს წმინდა ზარებმა–
ზარებს წკრიალი არ ეზარებათ–
მრევლს უხარია, ახლა, აქ დგომა–
ჰა, იოანე, პეტრე ... (აჰ, თომაც
აქ არის–) –ღმერთო, მათს მწუხარებას
ბოლო მოელო (გულს უხარებდათ
სულკურთხეულებს, ნატვრის ახდომა–).
თქვა მოციქულმან: „ისმინეთ, მრევლნო,
ვცეთ მას თაყვანი, ვინც ჩვენთვის ევნო–
ვცეთ ღმერთს თაყვანი, ღმერთს, უკვდავს,
კეთილს–"
სამწყსოვ უფლისავ, გფარავდეს ღმერთი.
აწ, ჰხამს, ზეციურ ხატად გვეჩვენო,
ღვთივკურთხეულო უფალო ჩვენო–

# ქება მეხუთე

*„აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველდღე, წუთისოფლის აღსასრულამდე“.*

* * *

კივის მარიამ მაგდალ(ინ)ელი:
„სასიხარულო ამბავი მომაქვს–
გვეღირსა უფლის მკვდრეთით აღდგომა!...“
ასეთ სასწაულს მართლაც ვინ ელის?..
ო, სიხარულის ლაღი ფრინველი...
აჰა, თვალების ელვა და კრთომა...
თუმც ეს ამბავი გასაკვირველი,
ეჭვებით ავსებს ურწმუნო თომას:
„მინდა ვირწმუნო, მაგრამ ამჯერად
ეს სასწაული, რა ვქნა, არ მჯერა...“
რა დაგემართა, ბრიყვო, ახ, თომავ...
ურწმუნო კაცი მეტს ვეღარ ითმენს :
„თუ ჭრილობაში არ ჩავყოფ თითებს,
ვერ დავიჯერებ მე მის აღდგომას...“

მოწაფეები ერთად იყვნენ, სახლი ამათი –
დახშული იყო (მოციქულებს, სდევნიდნენ მართლაც...),
კარი არავის გაუღია, და უცებ, მათთან –
გაჩნდა იესო, უვნებელი, საღ-სალამათი...
„მშვიდობა თქვენდა!..“ თქვა უფალმა, შეწყდა კამათი...
„ჩაჰყავი ხელი ჭრილობაში, რა დაგემართა...“

უთხრა იესომ საწყალ თომას... ხოლო ეს, მარდად –
წამოხტა ფეხზე, თქვა: „სიკეთეს, ნუ დამამადლი..."
გვიანღა იყო სინანული, ქვეშ გამოძრომა...
და ალუღლუღდა დარცხვენილი, ურწმუნო თომა:
„შენ ხარ მოძღვარი, ღმერთი ჩემი, უფალი ჩემი..."
დაბნეულ თომას, შიშისაგან მოექცა სახე...
უთხრა იესომ: „შენ მიწამე, რამეთუ მნახე...
ნეტარ არს იგი, ვინც მიწამა, მიწამა – რწმენით..."
ყველას ერთბაშად დაეუფლა შიში და ელდა...
ენა მუცელში ჩაუვარდათ იმ ნეტარ მამებს...
და მაშინ შიშის თიაქარი, რომ გაუნელდათ, –
რქვა მათ იესომ: „ხომ დამშვიდდით? გვეჭამა რამე..."
ხარობენ წმინდა მოციქულნი: არიან ერთად...
შემოიტანეს პური, თაფლი... „უფალო, ჭამე..."
და როცა დილამ, მტრედისფერმა, შეცვალა ღამე, –
გაქრა უფალი სიზმარივით, დრო მოიხელთა...
ზეცას სწვეოდნენ სიხარულით, თუმც შიშიც ყლაპეს...
ჰო: როცა მორჩნენ პურის ჭამას, ზეციურ ტრაპეზს –
იესომ ყველას შეუბერა – ციური სული...
თქვა მან: „ესე არს მადლი ღვთისა, ცით გადმოსული...
აწი ნამდვილი მოძღვრები ხართ, არ მოყვეთ კვეხნას...
სიკეთე თესეთ, ღვთის სახელით იარეთ ქვეყნად..."

* * *

გავიდნენ ზღვაში მეთევზენი, მაგრამ თევზები
ვერ დაიჭირეს, ჩამოღამდა, დაბრუნდნენ უკან–
თავს იმართლებდნენ მიზეზების მომიზეზებით,
ჰა, საწყლებს პირში არ ჩაედოთ არც ერთი ლუკმა.
ელოდნენ დილას. მათი ბადე ეკიდა უქმად–
გამოჩნდა კაცი, მიესალმა მათი წესებით–
ამბობს დამხვდური: „ცოტას მაინც წავიხემსებდით,
მაგრამ ჯერ ბნელა, გვიღალატა სინათლის შუქმა–"
თქვა უცხო კაცმან: „ადით ნავში, ისროლეთ ბადე–"
ამოჰყვა თევზი გაშლილ ბადეს უხვად და უხვად..
მეთევზეებში უცხო კაცი უკვე ეჭვს ბადებს–
გაისმა მაშინ: „ვერ გიცანით, უფალო, ვწუხვართ–"
და შესცქეროდნენ უცხო სტუმარს, საკვირველს, კეთილს–
იდგა მათ შორის ძე უფლისა, აღმდგარი მკვდრეთით–

## ცადამაღლება

და აიყვანა მოწაფენი იესომ მთაზე..
იყო მთა იგი, უმაღლესი, თვალშეუდგამი–
ისმოდა ლოცვა, შეძახილი: „ოსანნა", „ამინ–"
ახედა ზეცას, და უფალმა დაიწყო ასე:
„თუმც ამ სოფელში, სიკეთის წილ ბალღამი მასვეს,
მე აღვასრულე ნება ღვთისა, მოვიდა ჟამი,
მე მელოდება ცის საუფლო, წიაღი – მამის–

და ვინც დამბადა, ვუბრუნდები, მოყვასნო, მასვე...
ჰე, მეგზურებად – ანგელოზთა კრებული მახლავს..."
გარს ეხვეოდნენ მართლაც უფალს ანგელოზები...
აფრინდა მაღლა, მაღლა, მაღლა, მაღლა და მაღლა...
„უფალო ცაში აფრენილო დაგემოწმებით, –
რომ შენ ხარ ჩვენი მაცხოვარი, აღმდგარი მკვდრეთით", –
ამბობდა ხალხი, და ზეცაში მიჰქროდა ღმერთი...

* * *

იხილა ხალხმა ლილი მესია,
კვლავ უჩვეული ხორცით და სულით.
განსხვავდებიან ბრძენნი ასულნი.
ამბობდნენ: „ეს ლილე უწინდელია–"
ხორცს კლავდნენ, მის სულს არ უკვნესია,
მწვდომ მოუხმობდა – ჯვარზე გაკრული –
მას, ვისაც არ აქვს, როგორც წესია –
არც დასაბამი, არც დასასრული.
გარეხვეწნენ უფალს შეულოცვე ცაში–
იესოს მრევლი: „ძე ღვთისა გვცანით–"
ცადამაღლებაც ვიხილეთ მისი–
„ძეო, ვინც შობე, ცადა, მამის გვერდით,
ვაგვხადე შენი სიმაღლის ღირსნი..
მუხლმოდრეკილნი, გენუკვით, გვედრით–"

* * *

1.

გიხაროდენ! მაცხოვარი აღდგა მკვდრეთით!
ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!
ფარფარიშმა – ზეციდან ძალა ჰყო დამხობა,
ჯვარცმულის ფაშა შეიცნა მამა-ღმერთი...
ღვთის დადგა ქვამ იგი – აღდგომის,
მაცხოვარი – გამოვიდა საფლავიდან...
ღვთისმშობელი – სიხარულით, ცრემლებს ღვრიდა...
ანგელოზნი – უგალობდნენ ნაზ-ნაზ ხმებით...
გიხაროდენ! მართლმორწმუნე ქრისტიანებო –
აღდგომის დღე – ნათელ სულებს განათლებანი,
ვიცით ჩვენი, მაცხოვრისგან სხვა არ ვიცით...
ყოვლის იგი, ხორციელი ცის და ქვეყნის,
მზისა დამბადს, ხილვით სუფევს მეუფეს –
**სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი–**

2.

შენ აღამაღლე ქრისტეს ჯვარი, ქრისტეს მაცხოვრის...
შენ განამტკიცე მაცხოვარი, ჩვენი გზები...
ღმერთო, ვიდრე სიმართლე ქრისტეს ჯვარზე – ეხლა გაურკვეველი,
შენს ნათელს ერწმუნე, შენი შეწევნა გაუმჟღავნებელი...
დღე იმარჯვებს ქმნის მზის, ზეციერს მადლიერს...
სადღესასწაულო სასანთლები, ვიდრე გვაქვს ძლიერ...
შენს ქრისტეს სახელს, შენს სახელს, ჩვენ ვადიდებთ...
ღვთისმშობლის მიერ – მარწმუნებელთა სიმშვიდით მადლიერი...
ჩვენთვის ეამე, ღმერთო – ჩვენთვის ამღერი,
გვიხსენით გიხმობთ გვიღით სხვათა, სიმღერით ამაღლდი...
შენ მეგობრობით, მაცხოვარო, ღმერთო, ღვთივ...
ჩვენ გვიხსენ, შენი შეწევნით ჩვენ ...
სამართლიანობის დღეში, მისი სიტყვა ...
ღვთის შენდა, ღმერთო, ა მ ე ნ. ა ლ ე ლ უ ი ა...

* * *

*მას შევხარი, ვინც ცასავით მამაღლებს:*
*სულიწმიდას, ძე ღმერთსა და მამაღმერთს.*

* * *

*დავგმოთ ეშმა, და ღმერთსა ვცეთ თაყვანი,*
*ჩვენს მაცხოვარს — ღვთისგან ცაში აყვანილს.*

* * *

*კურთხეულ იყოს, კეთილებო, ის წამი, ის დღე,*
*როს ქვეყნად იშვა — ძე უფლისა... წმინდა მამანო —*
*დაე მრევლს თქვენსას საუკუნოდ — სიმშვიდეს გვრიდეთ,*
*კურთხეულ იყავ — დღის და ღამის ლოდო სამანო...*
*ვიცი მკითხველი რასაც მეტყვის: „თუმც არკვევ მიზეზს,*
*მიზეზთა შორის — რა უცნაურ ძაფებს აბამო... »*
*თუკი არ იცის, რომ ძე ღვთისა — იესო ქრისტე*
*განკაცებამდეც არსებობდა („დაუსაბამოდ...").*
*ფრთები შეისხა უფლის ნებამ, და ცის თაღს გასცდა...*
*ხორცი შეისხა უფლის სიტყვამ, და იქცა კაცად...*
*იქცა ძედ ღვთისად სიტყვა იგი — უპირველესი...*
*ამგვარი რამე უბირ მკითხველს. უკვირს, ეს მესმის:*
*ღვთის საიდუმლოს ვერ ჩასწვდება ჩვენი ბუნება,*
*მაგრამ ხომ ვიცით „წმინდა წიგნი" რას გვეუბნება?...*
*... და მამა-ღმერთი, და ძე-ღმერთი, და სულიწმინდა,*
*სამპიროვნება ერთარსების, ანუ: სამება...*
*ვინც ტანჯვას ითმენს, და უფლისთვის ვინც ეწამება —*
*მის სულს მარადი ნეტარება მოელის ციდან...*
*კაცს — ღარიბს, ღატაკს, მაგრამ სულით — ჰე, სულით მდიდარს,*
*მოყვასის მისის, ვინც არ იღწვის სამტროდ, საჩვენებლად,*
*(თუნდ იმ ცოდვილსაც, ვინც ცოდვის გზას თავი ანება). —*
*ელის — აღდგომა, ღვთის წყალობას ელიდეს მშვიდად.*
*გვფარავდეს მადლი სულიწმინდის, იგია ძალა -*
*უფლისა, გვმართებს ჩვენ მის მიმართ შიში და კრძალვა,*
*ხოლო იესო: არის ღმერთი, ვით მამა მისი...*
*და ჩვენ — სამება — ერთარსებით — მარადის გვიხსნის.*
*ასე გვასწავლის წმინდა წიგნი: „ახალი აღთქმა»,*
*მე კი, ცოდვილმა: ამის მეტი რა გითხრათ, რა ვთქვა?...*

* * *

*პ ი რ ვ ე ლ ი უფლის სიტყვა იყო, სხვა დანარჩენი*
*მერმედა გაჩნდა. ხოლო როცა უფალმა ნახა —*
*რომ ცისქვეშეთი (თუმცა: შექმნილი მისი მარჯვენით),*
*არ წააგავდა — ტურფა ედემს, და „კალმით ნახატს",-*
*უფალმა წ ა რ ღ ვ ნ ა მოავლინა, თუმცაღა ახლაც*
*ცბიერი გველი დაუფლა — მისგან განდევნილი...*

და ღმერთმა - ქალწულს - საკუთარი - ძე ჩაუსახლა -
წმინდა სხეულში (იშვა ღმერთი - რისხვა ქაჯების...)
განკაცებულმა უფლის სიტყვამ ბევრი იღვაწა...
მაგრამ ჯვარს აცვეს - მოვლენილი ჩვენს საცხოვნებლად...
(ეშმაკი ხარობს, უფლის სიტყვა თუ კი ბრიყვს არ სწამს...)
მან - გამოსტაცა ჩვენი გული, ჩვენი გონება,
ეშმაკს წარწყმედილს... არ დაგვადგა მაინც საშველი...
კვლავ გავურბივართ მშობლის მზერას როგორც ბავშვები...

* * *

გარიბანდიან გვამნი ჩვენნი? - შენდობას ველით!
ხალხი - ცოდვებში იხრჩობოდა, და წმინდა სისხლი
დაღვარა ღმერთმა, აწ ჩვენს ცოდვებს - ის გამოიხსნის...
და ჩვენც, უფალო, მამა-ღმერთო, ვიქნებით - წრფელნი...
შენც აღარ დაგვსჯი შემოქმედო, კრულვით და წყევლით...
ჩვენ განვიბანეთ ცოდვებისგან .. ღვთიურ სისხლს ღვრის
ის -
ვინც მოავლინე მხსნელად ჩვენდა ... ეშმაკი - გველი -
ველარ გვაცდუნებს. . . სასუფევლის გავხდებით ღირსნი...
ატარებს ღმერთი - შემოქმედი დიდ „ექსპერიმენტს..."
სრულდება წმინდა მისტერია... ეშმა ვერ ითმენს,
სურს ეშმაკს წყეულს, რომ დამარცხდეს - წმინდა ტარიგი...
ეშმაკი მალე დამარცხდება, თუმც ქედს არ იხრის...
სურს ეშმაკს სულნი გაგვიმჭვარტლოს, და გაგვიბილწოს...
მაგრამ დგას ჯვარი, წმინდა ჯვარი, - ძლევის სიმბოლო...

* * *

ღმერთმა ძე მისი მოავლინა - ცოდვილ მიწაზე,
რომ ის მოეკლა, დაეტანჯა, და, ჯვარზე ეცვა?..
თუმც ბევრმა მუხლი მოუყარა, ღმერთად იწამეს, -
კვლავ ცოდვილია კაცთა მოდგმა (მათ შორის, მეც ვარ...)
მისი სიკვდილი უშველიდა - ცოდვილ, უმეცარ
კაცობრიობას? კაცთა მოდგმა, უმალ, იმწამსვე
ნირს შეიცვლიდა? - გვემეს, ტანჯეს, ჯვარზეც ის აცვეს...
ღვთის თავდადება ცისქვეშეთმა - ვერ შეიმეცნა...
თუმც ასჯერ უფრო დაიტანჯა ვიდრე იობი,
გამოისყიდა მან ცოდვები - კაცობრიობის?
(ეჰ, რას შეასმენ, რასაც იქმს, ბრიყვს თუ არ ესმის?.)
ჰე, ხალხი მაშინ - ცუდი იყო, დღეს - უარესი...
ღმერთო შეგვცოდე. ცოდვათ ჩვენთა გამოსასყიდად -
თავის დადება, ტანჯვა, გვემა, იქნებ არც ღირდა?..
თავის დადება, ტანჯვა, გვემა, იქნებ არც ღირდა?
თუმცა რას ვამბობ, უფლის ნებას ვინ სად წაუვა?
ცოდვილი მიწა განაცვიფრა ამ სასწაულმა...

ნუგეშად შერჩა ძეს წამებულს, მამა – მაღლიდან...
მზე ნაესხვენა უმეცართა, ცრუთა, თაღლითთა!..
ხოლო ჯვარცმული ცად ამაღლდა... იმედი სულ მაქვს:
რომ იხსნა ჩვენი დედამიწა მაცხოვრის სულმა...
რომ ეშმა – სიმწრით, ჯოჯოხეთში თავს ქვას ახლიდა...
თუმცა უკეთურთ ვერ უშველა მაცხოვრის სისხლმა.
მაგრამ ცოდვილი დედამიწა გადარჩა დასჯას...
(აჰ, ხუ-ხენეში, კეთილ ნაყოფს ვერ გამოისხამს...)
ყური მოუგდეთ ღვთისნიერნო, კეთილნო, - ღვთის ხმას...
ვინც ეშმას მიჰყვა, მისთვის არსად – საშველი არ ჩანს,
ვინც უფლის ნათელს ეზიარა, - ნათელში დარჩა...

# ბ ო ლ ო თ ქ მ ა

*ღვთისმშობლის მიძინება*

მრავალმა წელმა ჩაიარა, და დადგა ბოლოს
ღვთისმშობლის ჩვენის მიძინების ნეტარი ჟამი.
გვფარავდეს მადლი სულიწმინდის, ძისა და მამის,
ჩვენი მფარველი, ჩვენი მხსნელი, ღმერთია მხოლოდ.
ვამბობ: დიდება ძალსა შენსა, უფალო, ამინ...
მოგვეცი ძალა ბოროტ ძალებს რომ შევებრძოლოთ,
სასუფეველი დაუმკვიდრე მორჩილ სულს, ხოლო –
ავსული – ეშმამ ჩაიბაროს – სულით და გვამით.
...გამოეცხადა ანგელოზი ღვთისმშობელს ნეტარს,
რქვა ანგელოზმან: „ღმერთი გიხმობს“, და ნათლის სვეტად
დაეშვა ციდან ღვთაებრივი ნათელი ღვთისა.
აევსო გული სიხარულით ნათქვამმა მისმა
წმინდა მარიამს, ქერუბიმნიც დაეშვნენ ციდან...
ხარობდა დედა, ძე – უფალი – ცაში უცდიდა...
და მიიძინა ღვთისმშობელმა ნეტარი ძილით...
ციდან უჩუმრად ჩამობრძანდა იესო ქრისტე...
დაუდგა დედას სასთუმალთან... და დედაც მის ძეს
თან გაჰყვა, ცაში აღემაღლა ის დალოცვილი.
დაე, უფალმან ყოველ სულდგმულს მშვიდობა მისცეს...
დე, ავსულებმა ყოველ ჩვენგანს უყარონ წილი...
ჩვენ მაინც მტკიცედ, აწ და მარად – უფლის გზით ვივლით!..
უფლის გზით ვივლით აწ და მარად, ურყევად, მტკიცედ.
დაკრძალეს წმინდა მარიამი რიგით და წესით.

სამ დღეს და ღამეს ხორციელად საფლავში წევს ის
(ღმერთმა – საფლავში მარიამი სამ დღეს ამყოფა...),
მესამე დღეს კი უფლის ნებით ტოვებს სარკოფაგს...
თუ როგორ მოხდა ეს ამბავი, მკითხველო ჩემო,
ამის შესახებ დაწვრილებით შეიტყობ ქვემოთ.

* * *

მარადის ქალწულს, როს დაუდგა დრო – მიძინების,
მოციქულებთან მოისურვა გამოთხოვება...
ასე ისურვა ღვთისმშობელმა, და მისი ნებით
ბეთანიაში ჩამოფრენა შესძლო ყოველმა...
უფლის მოძღვრებას ქადაგებდით დაუცხრომელად,
შორეულ ქვეყნებს ანათლებდით მორჩილი ძმები...
ირწმუნა ყველამ: შინაურმა, თუ უცხოელმა –
იქ, ცათა შინა, დიდ სასყიდელს, რომ შეიძენდით...
– და მაშინ, მიქელ-გაბრიელმა აღმართა ცისკენ –
ხელი და, წმინდა მოციქულნი, ერთ წამში, მყისვე,
იქ გაჩნდნენ (ციდან ჩამოფრინდნენ), არ ჩანდა თომა...
სწორედ ის – მოძღვრის ჭრილობებში ვინც მოინდომა
თითის ჩაყოფა... ო, ღვთის ნებით, ვეღარ დაესწრო
შენს მიძინებას, ღვთისმშობელო უკვდავესო...
თომა ღვთისმშობლის დაკრძალვიდან – სამი დღის შემდეგ
გამოჩნდა მხოლოდ (და ეს მოხდა თვით უფლის ნებით...).
როდესაც თომა ჩამოფრინდა, იქ დახვდნენ – სხვები
(ძმანი – დიდი ხნის უნახავნი, ერთმანეთს შეხვდნენ...)
შეწუხდა თომა, და თქვა: „ძმანო, თქვენ ალბათ ხვდებით

თუ როგორ მინდა მეც იმ წმინდა საფლავთან შევდგე...
რომ ჩემს ხსოვნაში მარად დარჩეს, კეთილნო, ეს დღე..."
საწყალი თომა ცრემლებს ღვრიდა, შეწუხდნენ ძმებიც–
გახსნეს ლუსკუმა ღვთისმშობლისა, თქვეს: „დაე, ნახოს –
სახე – მარადის ქალწულისა, მივიდეს ახლოს..."
გახსნეს საფლავი კურთხეული, და დარჩნენ სახტად...
შიგ არრა იყო მოსასხამის, ქსოვილის მეტი...
ძის მისისაებრ, ღვთისმშობელიც აღმდგარა მკვდრეთით...
„ცხონდებით რწმენით," – უფლის ნების სიტყვები ახდა...

## სვეტიცხოველი

მართლმორწმუნენო, მსურს გიამბოთ ამბავი ერთი,
ამბავი მეტად საკვირველი, ლეგენდის დარი...
თუმც ჰგავს ლეგენდას, მაგრამ ვფიქრობ ნამდვილი არის,
ვინც წაიკითხა, ყველას სჯერა, სხვა რაღა მეთქმის?..
ოდეს ჯვარს აცვეს ძე უფლისა, და თავად ღმერთი,
ამბავი მოხდა საკვირველი, და საოცარი...
და რადგან მჯერა იმ ამბისა, უკვე დროც არის
გიამბოთ იგი, სასურველი იქნება თქვენთვის:
„განიყვეს უფლის სამოსელი, და კვართსა ზედა
იყარეს წილი..." თუმც სათქმელად უცნაურია –
ელიოზს ერგო კვართი იგი – მცხეთელ ურიას...
იქ ედგა თურმე ჭირისუფლად – ნაწამებ ცხედარს...
ჩამოიტანა ელიოზმა კვართი – მცხეთაში...
გაბრწყინებული ღვთიურ მადლით, მურით, ზედაშით...
შემოეგება სიდონია, დაი, ელიოზს,
ამბობს: „რაიმე, მაცხოვრისგან ხელშენავლები
რომ დამენახა, სიხარულით სულსაც დავლევდი...
რაც გთხოვე, იმის შესრულება ვერ შესძელიო?..."
თქვა ელიოზმა: „ისემც შენს მტერს დღე დაელიოს,
რომ აგისრულე სათხოვარი, წადილს დავნებდი,
იმსახურებენ კვართს უფლისას – შენისთანები..."
თქვა სიდონიამ: „მსურს შევახო იმ კვართს ხელიო..."
გულში ჩაიკრა სიდონიამ – კვართი უფლისა...
და წამსვე – სული განუტევა, კურთხეულ დიაცს –
მაცხოვრის კვართი ხელებიდან არ გაუგდია...
ვერ მოაცილეს ცხედარს კვართი, და კვართთან ერთად

დაკრძალეს იგი. განუსვენოს უფალმა ღმერთმა
მას — ვისაც ეშმამ წმინდა გული ვერ დაუფლითა.
ხედავდა ხალხი მის საფლავზე — ლამაზ კვიპაროსს...
ამოსულიყო ხე თავისით, აფრქვევდა სურნელს...
სულნი წარმართთა, წაღმართ გზისკენ შემოაბრუნე
უფალო ჩვენო, მაცდურისგან გთხოვთ დაგვიფარო...
მადლი არაფერს არა ჰქონდა, მდორედ და დუნედ
დიოდა ჟამი... ჯოჯოხეთი — ეშმაკის ხარო —
ფეხს უბორკავდა ადამიანს (მთელი სამყარო
წარწყმედილია, თუ ეშმაკი — ტუჩს აცმაცუნებს...)
რაც მოხდა შემდეგ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ?:
გამოეცხადა ივერიას — ქალწული ნინო—
წინ მოუძღოდა: რწმენა მისი, და ჯვარი ვაზის...
დარწმუნდა ხალხი, რომ სიცოცხლეს მიეცა აზრი...
მეოხად ჩვენდა, ღმერთო ჯვარი გამოგვეიბრწყინდა...
რაც მოხდა მაშინ, დაწვრილებით გიამბოთ მინდა.
ისურვა მეფე მირიანმა — აგება ტაძრის
(რწმენა ღვთისაღმი, მეფეს ალბათ ღმერთმა უბოძა...)
თქვა ნინომ მაშინ: „კვიპაროსი — ლიბანის ნაძვი,
გამოიყენეთ იმ ტაძრისთვის სვეტად და ბოძად..."
და მოჭრეს ნაძვი — კვიპაროსი, გათალეს, და ძირს —
როცა ქსვენა, ალბათ ჰგავდა თვით უფლის ბოძალს—
ღმერთო დიადო, თუმც ეშმაკი ჯერ კიდევ დაძრწის,
ჩაეფუშება სულწარწყმედილს — ტაძრებთან ბრძოლა.
გათალეს ნაძვი, მაგრამ იმ ნაძვს ძვრა ვეღარ უყვეს,
თითქოსდა მიწას ჩაეჭედა ის წმინდა სვეტი...
რა დარჩენოდა ნირწამხდარ ხალხს ვაების მეტი?...

პირი იბრუნა ხალხმა მისგან. შებინდდა უკვე...
მოვიდა ნინო, ლოცვად დადგა იმ წმინდა სვეტთან...
ღვთის საიდუმლოს ალბათ იგი წინდაწინ ჭვრეტდა...
ვისაც აქვს ნიჭი ოცნებისა, და – წარმოსახვის,
წარმოიდგინოს: ლოცვად მდგარი, სულიერ დებთან –
ქალწული ნინო... (რწმენის გამო თავსაც დასდებდა...)
დებმაც რწმენისთვის მიატოვეს – ოჯახი, სახლი...
ვისაც აქვს სული ღვთისნიერი, გონება – სადი,
წარმოიდგინოს: ანგელოზის გამოცხადება...
გამოეცხადა იგი ქალწულს – ჭაბუკის სახით...
და... აღიმართა ნათლის სვეტი (ასეთიც ხდება...).
... იქ სადაც სვეტი აღიმართა: აკებენ – ტ ა ძ ა რ ს...
ეშმაკს წარწყმედილს სულნი ჩვენნი მან გამოსტაცა...
ო, რწმენის ჯვარო, შენ ვერასდროს, ვერ შეგელევით...
იწყეს შენება, და შეწევნა უფალ ღმერთს თხოვეს...
მას შემდეგ ხალხი მართლმორწმუნე, ჭვრეტს –
ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ ს...
დგას იგი უფლის კვართსა ზედა, სიმბოლო – ძლევის...

**(დასასრული)**